შვეულმფრენის კატასტროფას 85 ადამიანი შეეწირა A4

„ინფოკომის“ პრივატიზების კანონიერება სასამართლოს გადასაწყვეტია A4

ალექსანდრე ჩივაძე - ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორდენის კავალერი B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

სამშაბათი, 20 აგვისტო, 2002 წელი. №79

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# გადარჩენის შანსი - შევარდნაძის სისტემის პოლიტიკური ალტერნატივა

ბადრი კოპლატაძე

დღეს პოლიტიკური ძალებში სამომავლო სტრატეგიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს. შემოდგომაზე კი, ალბათ, უკვე ახალი პოლიტიკური მოდელების პრაქტიკაში გამოცდის პირველ მცდელობებს ვიხილავთ. მოვლენების პოლიტიკური ლოგიკა კი ბოლო ათი წლის განმავლობაში მუდმივი რჩება.

...

1992 წელს საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძისთვის ახალი პირობები საკმაოდ უცხო იყო. მან საქართველო ჯერ კიდევ მაშინ დატოვა, როდესაც 90-იანი წლების ლიდერები ან ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ან დისიდენტობდნენ. ამიტომ მას საკმაოდ შეცვლილ გარემოში მოუწია მოღვაწეობის ხელახლა დაწყებამ. თუმცა, მრავლად იყვნენ ნაცნობი სახეებიც, რომელთა უმეტეს ნაწილს ყოფილი ჩინოვნიკები და ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ. შევარდნაძემ თავიდანვე განსაზღვრა, რომ მარტო ამ უკანასკნელებზე დაყრდნობა მას არ არგებდა და პარტიებთან საერთო ენის გამონახვა მოიწადინა. ამ მხრივ მას გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდა - დღეს დასამალი აღარ არის, რომ ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი შევარდნაძის მოსკოვური ოფისის არც თუ იშვიათი სტუმარი იყო. შევარდნაძე შეეცადა, სხვადასხვა პარტიებიდან მეტ-ნაკლებად ნორმალური კადრები მოეზიდა და ამით გაეზავებინა მთავრობის ჩინოვნიკური შემადგენლობა. თავის მხრივ, ასეთ პოლიტიკას დიდი ინტერესით მოეკიდნენ პარტიებიც და მასში გაძლიერების ყველაზე ეფექტური გზა დაინახეს. ამიტომაც, 1992-1993 წლებში სამთავრობო სტრუქტურებში ეროვნული მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი აღმოჩნდა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი ვალერი ვაშაკიძე ლტოვილთა მინისტრად მოგვევლინა, სახალხო ფრონტელი რომან გოცირიძე ვიცე-პრემიერი გახდა, რესპუბლიკელი ირაკლი მაჭავარიანი - პრეზიდენტის მრჩეველი, ირაკლი ბათიაშვილი უშიშროების სამსახურს ჩაუდგა სათავეში და ა.შ. ყველაზე მეტნი კი მთავრობაში ეროვნულ-დემოკრატები აღმოჩნდნენ, რადგანაც ამ პარტიასთან და მის ლიდერებთან შევარდნაძეს თავიდანვე განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა. გარკვეული პერიოდი ედპ შევარდნაძის პოლიტიკური დასაყრდენის ფუნქციასაც ასრულებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ იმ წლებში მთავრობის ოდიოზური წარმომადგენლების წინააღმდეგ ყველაზე მეტად ირინა სარიშვილი ილაშქრებდა. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ეს ბრძოლები, ძირითადად, მისი გამარჯვებით მთავრდებოდა; ამიტომაც გასაკვირი არავისთვის ყოფილა, როდესაც, სულ ცოტა ხანში, სარიშვილი ვიცე-პრემიერად მოგვევლინა (იმ პერიოდში ირაკლი ქადაგიშვილი უკვე საბაჟოს უფროსი იყო).

გაგრძელება A3 გვერდზე



აკაკი ასათიანი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზურაბ ჟვანია

ბესო გულაშვილის ფოტო

# სამთა ერთობა

თამარ ხორბალაძე

*ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, "ტრადიციონალისტებს" და "დემოკრატებს" ჯერ ერთობლივ დეკლარაციაზე ხელი მოწერილი არ ჰქონდათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ ფაქტს კომენტარს უკვე უკეთებდა:*

***"მივესალმები პარტიების გაერთიანებას, თუმცა, კარგი იქნებოდა, პრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები ერთიანდებოდნენ..."*** *- განაცხადა გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ბევრი კოალიცია უნახავს დაშლილი.*

*ორიოდე საათის შემდეგ, კონსულტაციების თვენახევრიანი სერიის შემდეგ, 2002 წლის 19 აგვისტოს, გია ჭანტურიას დაბადების დღეს, სამმა პოლიტიკურმა პარტიამ დააფუძნა პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო და ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას...*

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში შეკრებილებმა, პირველ რიგში, განაცხადეს, რომ ეს შეთანხმება არ გულისხმობს პოლიტიკურ ალიანსს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დურგლიშვილის საქმეში ცხინვალის პროკურატურაც ჩაერთო

თამარ კაციტაძე

ცხინვალის რეგიონში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის დამკვირვებლის, ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გატაცების ფაქტს დღეიდან ქართული მხარე, კერძოდ კი, ცხინვალის პროკურატურა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პროკურატურასთან ერთად, გამოიძიებს.

რამდენად შეძლებს ქართული მხარე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას იმ ტერიტორიაზე, სადაც, ფაქტობრივად, საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ამის თქმა თვით ცხინვალის პროკურორს, გურამ ბაბუციძესაც უჭირს. სხვათა შორის, გუშინ დურგლიშვილის გატაცების ადგილის დასათვალიერებლად ჩასული ქართველი გამომძიებელი მხოლოდ იმ ოქმის ანაბარა დაბრუნდა, სადაც აღნიშნულია: **"ვინაიდან, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ამიტომ**

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის დახმარება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი“

აცხადებს სენატორი მაკკეინი

ეკა კვესიტაძე

სენატორი ჯონ მაკკეინი საქართველოშია. მისი ჩამოსვლა პანკისში შინაგანი ჯარის შესვლას და “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებში სამხედრო წვრთნების დაწყებას დაემთხვა. ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, ვიეტნამის ომის ვეტერანი და სენატის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი გუშინ საქართველოს პრეზიდენტს და სახლმწიფო მინისტრს შეხვდა, მანამდე კი საქართველოში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ვებ-გვერდის პრეზენტაცია ამერიკის ელჩ რიჩარდ მაილსთან ერთად გახსნა.

მაკკეინთან ერთად, კანცელარიაში შეხვედრებს სენატორი, ყოფილი მსახიობი ფრედ ტომპსონიც ესწრებოდა.

**“პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან საკითხების ფართო სპექტრი განვიხილეთ, მათ შორის, ვისაუბრეთ სამხედრო წვრთნების, ასევე პანკისის ხეობაში “ალ ქაედას” და ჩეჩენი ელემენტების შესაძლო ყოფნის თაობაზე,”** - ასეთი ზოგადი შეფასებით შემოიფარგლა მისტერ მაკკეინი შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

სენატორების ჩამოსვლას ბასილ მკალავიშვილისა და გურამ შარაძის გააქტიურება დაემთხვა. შარაძემ და მკალავიშვილმა ანტიიეღოვურ კამპანიას საქართველოდან ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის გაწვევის მოთხოვნაც დაამატეს და იეღოველების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა კიდევ ერთხელ გამოაცხადეს.

**“შევარდნაძე შეგვპირდა, რომ საქართველო მიიღებს კანონს, რომლითაც რელიგიური უმცირესობების უფლებებს დაიცავს და არ დაუშვებს იმგვარ თავდასხმებს, როგორსაც, მაგალითად, იეღოველების წინააღმდეგ აქვს ადგილი,”** – განაცხადა შეხვედრის შემდეგ ფრედ ტომპსონმა.

მანამდე შევარდნაძე 16 კონგრესმენის წერილს, რომელიც საქართველოში რელიგიური უმცირესობის დევნას გმობდა, სპეციალური განკარგულების გამოცემით გამოეხმაურა. თუ გავითვლისწინებთ იმ “შედეგებს”, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივებსა და რელიგიურ შემწყნარებლობაზე თეორიულ განცხადებებს აქამდე მოჰყვა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორი გავლენიანი სენატორის გარჯა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დასაცავად, ისევე უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც მათი 16 კოლეგის მცდელობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არჩევნები ქუთაისურად - „ვინც სად შეძლო, იქ „ჩააწყო“

თამარ მჭედლიშვილი

*“ქუთაისის საკრებულოს არჩევნები ტოტალურად გაყალბდა”, – დაასკვნა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, რომელმაც ქუთაისის ათი საარჩევნო უბნის მონაცემები გადაამოწმა. ასეთი დასკვნის საფუძველს მათ ის დარღვევები აძლევს, რომლებიც ამ უბნებზე აღმოჩნდა. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ ამ მონაცემებით რთულია განსაზღვრა, საკრებულოს 15 წევრის უფლებამოსილება კანონიერია თუ არა - ამისთვის მთელი ოლქის შედეგების გადამოწმებაა საჭირო, მაგრამ საერთო ტენდენცია უკვე სახეზეა – “ქუთაისში არჩევნები “ქუთაისურად” ჩატარდა – თითოეული კანდიდატი იქ “აწყობდა”, სადაც შეეძლო”.*

ამით კომისიამ თავისი საქმიანობის პირველი ეტაპი დაასრულა. უფრო მნიშვნელოვანი კი წინ არის – პირველ რიგში, კომისიას სურს, ქალაქის მერის არჩევნების შედეგების გადამოწმება. ამისათვის კი დეპუტატები აპირებენ, პარლამენტს კომისიის გაფართოების ნებართვა მოსთხოვონ. გარდა ამისა, ისინი ცესკო-ს პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც აპირებენ, რადგან ფრაქცია “აღორძინების” წევრის **ვალერი გელბახიანის** თქმით, **“სწორედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ქუთაისის საოლქო კომისიის პროტესტის მიუხედავად, გადაუმოწმებლად დაამტკიცა ქუთაისის საკრებულოსა და მერის არჩევნების შედეგები”.**

დეპუტატები არ აკონკრეტებენ, ვისი დავალებით გაყალბდა არჩევნები, მაგრამ აღიარებენ ამ საკითხის ბოლომდე გამოძიებისა და შესწავლის აუცილებლობას.

ქუთაისის არჩევნების შედეგების გადამოწმებას **ვალერი გელბახიანმა “უპრეცედენტო პოლიტიკური მოვლენა”** უწოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | |
| ქუთაისი | 30 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 29 | |
| ფოთი | 29 | |
| თელავი | 28 | |
| ზუგდიდი | 31 | |
| გორი | 27 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1756 |
| ევრო | 2.1293 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3363 |
| რუბლი | 0.0689 |

# ყაჩაღი-ტერორისტი მიკროავტობუსშია ალყაშემორტყმული

ინგა ალავიძე

**- ზაზა, გამოდი, გამოდი, ნუ გეშინია, არ გესვრით, გამოდი ბიჭო, ზაზა, გესმის?..**

მცხეთა-თბილისის საავტომობილო მაგისტრალზე, ხიდზე გამაგრებულ ყაჩაღთან, თბილისის შერიფის მოადგილე დავით კეკუა, თითქმის მთელი დღის მანძილზე, მეგაფონით უშედეგოდ აწარმოებდა მოლაპარაკებას.

ყველაფერი კი რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ოქროს ბირჟაზე დაიწყო. მეგრული აქცენტით მოსაუბრე მძარცველი გუშინ, სამ საათზე თავს დაესხა ძვირფასეულობით მოვაჭრეებს. ყაჩაღმა პისტოლეტი ჯერ ჰაერში გაისროლა, შემდეგ “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა გახსნა და გამყიდველებს ნავაჭრისა და ოქროულობის - დაახლოებით 25 ათასი ლარის ღირებულების - ჩანთაში ჩალაგება უბრძანა. ნაყაჩაღარი თავდამსხმელმა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ N 104 სამარშრუტო ტაქსში აიტანა და მძღოლს - ჯემალ ხოფერიას ზუგდიდში წასვლა უბრძანა. ყაჩაღმა ასევე მძევლად

გაგრძელება A2 გვერდზე




იური ლობოდინის ფოტო

# არსენალი „დინამოელის“ სახლში

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ დილით, მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოში ოპერატიულ-ანონიმური შეტყობინება შევიდა. ანონიმური ზარის ავტორმა სამართალდამცველებს საეჭვო ბინის მისამართი მიუთითა და ამცნო, რომ ამ ბინიდან გუშინ დიდძალი იარაღი უნდა გაეტანათ.

ანონიმური ინფორმაცია კანონდამცველებისთვის შედეგიანი აღმოჩნდა. მითითებულ მისამართზე - ნიკოლაძის N5-ში მისულმა მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მართლაც ამოიღეს დიდძალი იარაღი. ამ იარაღის შემნახველი ძმები – ირაკლი და ილია მაისურაძეები კი პოლიციის სამმართველოს გზას გაუყენეს.

როგორც გაირკვა, დაკავებულები ამ სახლში, რამდენიმე თვეა

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A4 ეკონომიკა

B2 სტილი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** პრეზიდენტმა გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა პანკისის ხეობაში ქართული ჯარის შეყვანასთან დაკავშირებით.

**"იმედია, რუსეთში პოზიტიურად აღიქვამენ საქართველოს ზომებს პანკისის ხეობაში წესრიგის დასამყარებლად. გეგმა უკვე შემუშავებულია ქართული ძალოვანი სტრუქტურების მიერ",** - განაცხადა მან და გაიხსენა, რომ პანკისში დაძაბული სიტუაცია ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების გამო წარმოიქმნა, როდესაც საქართველოს საზღვრებს მიაწყდა ათასობით დევნილი, რომელთა შორის, შეიძლება, ყოფილიყვნენ არა მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები, არამედ საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებიც.

დღეს, რუსეთ-საქართველოს შორის მეტად გართულებული ურთიერთობის ფონზე, როცა რუსეთის პირველი პირები მდუმარებით ხვდებიან დაგეგმილ ოპერაციას, პრეზიდენტმა საგანგებოდ გამოთქვა იმედი, რომ მოსკოვი დაეთანხმება თბილისის ღონისძიებებს, რათა პანკისში, რუსეთთან საზღვრის სიახლოვეს, არ გაჩნდეს ახალი "ცხელი წერტილი".

**"დაგეგმილი ოპერაციისას, რომლის აქტიური ფაზა რამდენიმე კვირა გაგრძელდება, ძირითადი დატვირთვა შინაგან ჯარებს ექნება. სამართალდამცავმა ორგანოებმა კონტროლზე უნდა აიყვანონ პანკისის ხეობის ყველა სოფელი და დასახლებული პუნქტი, შესასვლელი და გასასვლელი, მაგრამ ისე, რომ მოსახლეობისა და ლტოლვილების უფლებები არ დაირღვეს",** - თქვა პრეზიდენტმა.

მისივე ინფორმაციით, პარალელურად, სწავლებების ფარგლებში, ახმეტის რაიონში განლაგდა თავდაცვის სამინისტროს **"საკმაოდ სერიოზული და კარგად მომზადებული დაჯგუფება"**, თუმცა, სავარაუდოდ, იგი პანკისის ხეობაში არ შევა. **"24 საათი"**

■■■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი "იტერასთან" დაკავშირებულ საფრთხეს ვერ აცნობიერებს.

მან გუშინ **"ბოროტი ზრახვა ან გაუთვითცნობიერებულობა"** უწოდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "იტერას" ხელში სტრატეგიული ობიექტების აღმოჩენა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს აზარალებს.

შევარდნაძეს საქართველოს სტრატეგიული ინტერესები დღეს ელექტრომომარაგების, გაზის მიწოდებისა და გათბობის უზრუნველყოფის აუცილებლობამდე დაჰყავს და, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობს საკუთარი ხელისუფლების იმ პოლიტიკის დანაშაულებრიობაზე, რომელმაც საქართველო ზამთრის წინ ასეთი არჩევანის წინაშე დააყენა.

"აზოტთან" დაკავშირებით კი იგი აღნიშნავს, რომ **"აზოტს" ჯიბეში ვერავინ ჩაიდებს და სახლში ვერ წაიღებს"**. პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, "ვინმე" წაიღებს თუ არა მთელ იმ მოგებას, რომელიც, ამ სტრატეგიული ობიექტის მუშაობის შედეგად, საქართველოს ბიუჯეტს უნდა რგებოდა. **"24 საათი"**

■■■

**თბილისი.** პრეზიდენტი აფხაზეთის მთავრობის დაკომპლექტების პროცესში ჩარევას არ აპირებს. ამის შესახებ მან გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

წინააღმდეგობა თამაზ ნადარეიშვილსა და შს მინისტრ კობა ნარჩემაშვილს შორის მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ნადარეიშვილმა, აფხაზეთის მთავრობის "გადახალისების" დროს, აფხაზეთის შს მინისტრად ცენტრალურ სტრუქტურებთან შეუთანხმებელი კადრი დანიშნა.

მაშინ ნადარეიშვილმა ცენტრს შეახსენა, რომ ასეთსავე პრინციპულობას არ იჩენენ, როცა საქმე აჭარის მთავრობის დაკომპლექტებას ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ნადარეიშვილის მსგავსი განცხადება აშკარად არადიპლომატიური გამოწვევა გახლდათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის, შევარდნაძემ გუშინ ეს გამოწვევა არ მიიღო და განაცხადა, რომ ამ პრობლემას მის გარეშეც მოუვლიან. **"24 საათი"**

■■■

**თბილისი.** კომპანია „ეი-ი-ესი" უარს ამბობს „ეი-ი-ეს მტკვრის" მე-10 ენერგობლოკის აფეთქების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გადახდაზე იმ რაოდენობით, რამდენსაც ისინი ითხოვენ.

როგორც „მედია-ნიუსს" „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა განუცხადა, მათ მიერ მოთხოვნილი თანხა - 2.5 მილიონი დოლარი ბევრად აღემატება რეალურს და აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** სოფელ ახალი სამგორის მოსახლეობა ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის სანაცვლოდ სოფლის გზითა და წყლით უზრუნველყოფას ითხოვს. სოფლის მოსახლეობამ ამასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართა. **კავკას-პრესი.**

■■■

**თბილისი**. ამერიკული საავიაციო კორპორაცია "ბოინგი" საქართველოში "ბოინგის" თვითმფრინავების მომსახურებისათვის ტექნიკური ცენტრის აშენებას აპირებს. **კავკას-პრესი**.

■■■

**თბილისი**. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა კონტაქტების გააქტიურებას აღიქვამს როგორც "მეზობელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფას და უპატივცემლობის დემონსტრატიულ გამოვლინებას". ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამგვარი განცხადების გაკეთების მიზეზად იქცა რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტი აფხაზეთში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, რასაც შემდგომ მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენლის ვასილ კოლოტუშას ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს. **კავკას-პრესი.**

■■■

**თბილისი.** ბოლო პერიოდში თბილისში გახშირდა ფიზიკური და იურიდიული პირების უკანონო შემოწმების ფაქტები, რომლებსაც გარკვეული შემთხვევითი პირები არარსებული "თბილისის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ცენტრის" სახელით აწარმოებენ. **კავკას-პრესი.**

■■■

**თბილისი.** ახმეტის რაიონში მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა პანკისის ხეობაში ჰუმანიტარული პროექტები განაახლეს.

გაეროს დაფინანსებით პანკისის ხეობაში მცხოვრები 13 ქისტი და ჩეჩენი ბავშვი დასასვენებლად ურეკში გაიგზავნა. **ინტერ-პრესი**

■■■

**თბილისი.** ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში ორშაბათს ოფიციალურად უარყვეს მასმედიით გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში დაჯგუფების შტაბი სომხეთის დედაქალაქში გადავა.

"მსგავსი გეგმა ამ მომენტისათვის არ არსებობს", განუცხადა პრაიმ-ნიუსს დაჯგუფების პრეს-ცენტრის უფროსმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე ლუცკევიჩმა. .

ამასთან, მან აღნიშნა, რომ საუბარი შეიძლება მხოლოდ საორგანიზაციო-საშტატო ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია დაჯგუფების მართვის ოპტიმიზაცია, რაც გეგმიურად ხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** რუსეთის გენერალური პროკურატურის მთავარმა პროკურორმა გიორგი წურწუმიამ ორშაბათს საქართველოს გენპროკურატურის კანცელარიას 3-4 აგვისტოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული 13 ჩეჩენის ექსტრადიციისათვის საჭირო დოკუმენტაცია ჩააბარა. **პრაიმ-ნიუსი**

■■■

**თბილისი**. სოხუმი კოდორის ხეობაში გაეროს სამხედრო დამკვირვებლების პუნქტის გახსნას სამშვიდობო ძალების მონაწილეობის გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ამ რეგიონიდან ქართული მხარე გაიყვანს მესაზღვრეებს და ეროვნული გვარდიის რეზერვისტებს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ზაქან ნანბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო დღეს გაზის მიწოდება შეუწყდა ვაჟა-ფშაველას მე-3, 4, 5, 6, 7 კვარტლებს, ნუცუბიძის პირველი ფერდობის კერძო დასახლებას და შავგულიძის ქუჩას.

როგორც „მედია-ნიუსს" "თბილგაზში" აცნობეს, გაზის გაჟონვის შესახებ „თბილგაზის" საავარიო სამსახურს მოსახლეობამ აცნობა. ამჟამად მიმდინარეობს სამიებო-აღდგენითი სამუშაოები და, თუ იგი დღესვე დასრულდება, გაზის მიწოდება აღდგება. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოება, პრაქტიკულად, არ გაზრდილა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით ამ მაჩვენებელმა 0,1 პროცენტი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** დასრულდა დასავლეთ საქართველოში გასულ წელს გვალვით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა, რომლის მონიტორინგი გაეროს სასურსათო პროგრამის (FAO) ექსპერტებმა განახორციელეს.

პროგრამის ფარგლებში გვალვით დაზარალებულმა თითოეულმა ოჯახმა დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი) დახმარების სახით 5 კგ სიმინდის თესლი და 75 კგ აზოტოვანი სასუქი მიიღო. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელზე" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი დასრულდა და მასში გამარჯვებული გამოვლინდა, - აცნობა „მედია-ნიუსს" სამინისტროს პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსმა გიორგი თოდუამ.

სატენდერო კომისიაში მიღებული იყო ერთი განაცხადი, რომლის ავტორმაც გაიმარჯვა. მას საწარმო სამი წლით მართვაში გადაეცა. „ელმავალმშენებლის" აქციათა 25 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა, 75 პროცენტი კი გამარჯვებულს გადაეცა. თუ ის სამ წელიწადში წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმას და ტენდერის პირობებს შეასრულებს, მას საწარმოს შესყიდვის უფლებაც ექნება, - თქვა თოდუამ.

როგორც „მედია-ნიუსისთვის" გახდა ცნობილი, „ელმავალმშენებლის" ტენდერში გამარჯვებული მისი ამჟამინდელი გენერალური დირექტორი ზურაბ ცინცაძე გახდა. მას ეს უფლება საწარმოს 1.132-კაციანმა კოლექტივმა მიანიჭა. **მედია-ნიუსი**

■■■

**სოხუმი.** აფხაზეთის ხელმძღვანელობა ეთანხმება ჩხალთის ხეობაში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მუდმივი პოსტის გახსნას რუს მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ რეგიონიდან გაიყვანენ ქართველ მესაზღვრეებს და რეზერვისტებს.

"სოფელ ჩხალთას რაიონში გაერო-ს პოსტის გახსნის წინადადებას ქართული მხარე აყენებს, თუმცა, ის კატეგორიულ უარს აცხადებს იქ დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების პოსტის გახსნაზე", - განაცხადა აფხაზეთის არმიის გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ზაკან ნანბამ. **კავკას-პრესი.**

■■■

**თეირანი.** ირანი შეშფოთებულია საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული წინააღმდეგობის გამო, ვინაიდან რეგიონში სიტუაციის გამწვავება ქმნის პირობებს ამერიკის ჩარევისათვის. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა კავკასიის საქმეთა სპეციალისტმა, დოქტორმა ჰასან ბეხეშტიპურმა.

მისი თქმით, ირანს არ აძლევენ რა კავკასიის რეგიონში ყოფნის უფლებას, რუსები ამით საკუთარ თავს დიდ ზიანს აყენებენ, ვინაიდან, ამ პირობებში ძლიერდება ამერიკისა და ევროკავშირის ზეგავლენა. **კავკას-პრესი.**

*სამართალი*

# არსენალი „დინამოელის" სახლში

პირველი გვერდიდან

ცხოვრობენ. ბინა მათთვის აწ გარდაცვლილ დეიდას დაუტოვებია. მეზობლები ძმებს არ იცნობენ. მოულოდნელად კარს მიმდგარი სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მაისურაძეებს არც უცდიათ. ჩხრეკის ჩატარებაზეც უპრობლემოდ დათანხმებიან და იარაღიც გადმოულაგებიათ.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რისთვის სჭირდებოდათ ირაკლი და ილია მაისურაძეებს "აკს"-ის, "მაკაროვის", "ტტ"-ს, "ჩეზე"-ს, "ნაგანის", "ბრაუნინგის", "პარაბელუმის" ტიპის პისტოლეტები და ერთი ავტომატი. არც ერთი მათგანი ნასამართლევი არ არის. ჯერჯერობით დაუდგენელია ისიც, არიან თუ არა ძმები მაისურაძეები რომელიმე კრიმინალური დაჯგუფების წევრები. ერთადერთი, რაც უკვე დადგენილია - ირაკლი მაისურაძე არის საკალათბურთო კლუბ "დინამოს " წევრი.

მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსის პაატა ჟღენტის თქმით, საგამოძიებო სამსახურმა გუშინვე დაიწყო საქმეზე მოკვლევა





აღმოჩენილი იარაღი და დაპატიმრებული დამნაშავე

ბესო გულაშვილის ფოტოები

და ყველაფერი ჩქარა გაირკვევა.

**"დიდძალი იარაღი ადამიანს კარგი საქმისთვის რომ არ სჭირდება, სადავო არ არის. თანაც, იარაღთან ერთად, ჩხრეკისას დიდი რაოდენობით ერთჯერადი შპრიცებიც აღმოვაჩინეთ. შპრიცებს რისთვისაც იყენებენ, ყველამ კარგად იცის. გამოძიება დაადგენს, ვისია ეს დიდძალი იარაღი და რისთვის სჭირდებოდა",** - გვითხრა პაატა ჟღენტმა. დაკავებულ ძმებს იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებას წაუყენებენ.

# ყაჩაღი-ტერორისტი მიკროავტობუსში ალყაშემორტყმული

პირველი გვერდიდან

აიყვანა ბირჟაზე მომუშავე 50 წლის ქალბატონი, ახალგაზრდა მამაკაცი და რკინიგზის სადგურის პოლიციის თანამშრომელი.

ხელყუმბარითა და "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტით შეიარაღებული თავდამსხმელი, ოქროს ბირჟაზე მომუშავეთა განცხადებით, დაახლოებით, 23-25 წლის იქნება, დაბალი, შავგვრემანი, გამხდარი. **"ვერ გეტყვით, მთვრალი გახლდათ თუ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ, ფაქტია, არეული იყო. ძალიან ნასვამის შთაბეჭდილებას ტოვებდა,"** – განაცხადეს ჩვენთან საუბრისას ოქროს ბირჟის თანამშრომლებმა.

სამართალდამცველებმა თავდამსხმელს გზა გაუხსნეს და თბილისიდან გასვლის საშუალება მისცეს. ნატახტრის საგუშაგოსთან მას პოლიციის სპეცრაზმმა გადაუკეტა გზა და უკან გამოაბრუნა. საბოლოოდ, ყაჩაღი პოლიციამ მცხეთის ხიდზე გააჩერა.

ოქროს ბირჟის დამყაჩაღებლის შესახებ პოლიცია გუშინ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა, გარდა მის მიერვე დასახელებული სახელისა, რაც სამართალდამცველთა ვარაუდით, შესაძლოა, მოგონილი იყოს.

მცხეთის ხიდზე მომწყვდეული ყაჩაღის აყვანისა და მძევალთა გათავისუფლების ოპერაციას უშუალოდ შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ხელმძღვანელობდა. ყაჩაღთან მოლაპარაკებას კი დავით კეკუა აწარმოებდა. სწორედ დავით კეკუამ გადასცა ზაზას მობილური ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც მას არაერთხელ ესაუბრნენ ნარჩემაშვილი და კეკუა.

ყაჩაღი, მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, ხელშეუხებლობისა და ზუგდიდში წასვლის გარანტიას ითხოვდა. თუმცა, მან მოგვიანებით ერთი მძევალი – სამარშრუტო ტაქსის მძღოლი გაათავისუფლა. უფრო ზუსტად, იგი წყლისთვის გამოგზავნა. პოლიციამ სამშვიდობოს გამოსულ მძევალს უკან დაბრუნების უფლება აღარ მისცა. მოლაპარაკებიდან 6 საათის შემდეგ, მძარცველმა კიდევ ერთი ტყვედ აყვანილის გათავისუფლება გადაწყვიტა, მაგრამ აზრი მოულოდნელად შეცვალა.

მცხეთის ხიდი და მისი მიმდებარე ტერიტორია გუშინ მძიმე ტექნიკით იყო გამაგრებული. ოპერაციის ჩატარება შინაგან ჯარსა და შსს-ს გია გულუას სახელობის სპეცრაზმს დაევალა. მცხეთის ხიდისთვის შემოვლებულ ძალოვანთა დერეფანს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი და აშშ-ში წვრთნაგავლილი სპეცრაზმიც ამაგრებდა, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, სნაიპერების ფუნქციის შესრულება დაევალათ.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, კანონდამცველებმა ყაჩაღის დასამორჩილებლად საქმეში კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებიც ჩარიეს, მაგრამ - უშედეგოდ. მცხეთაში ჩაყვანილ შავი სამყაროს ავტორიტეტებს თავდამსხმელი არ დაელაპარაკა. მან ასევე უარი განაცხადა სვეტიცხოვლის ტაძრის მოძღვართან, მამა მიქაელთან შეხვედრაზეც.

**"ასეთი შემთხვევების დროს, როგორც წესი, სპეცოპერაციები გამთენიისას ტარდება. ამ დროს ადამიანის გონება ჩვეული რიტმით ვერ მუშაობს, აზროვნება შენელებულია, ეს პერიოდი საუკეთესო დროა ლიკვიდაციის ოპერაციის ჩასატარებლად,"** – ასეთი გახლდათ კანონდამცველთა პასუხები. ოქროს ბირჟის დამყაჩაღებელს სამართალდამცველებმა განაჩენი გუშინ ღამით, ფაქტობრივად, გამოუტანეს – დაუმორჩილებელი კრიმინალის ლიკვიდაცია, სავარაუდოდ, დღეს, გამთენიისას მოხდება. მცხეთის ხიდი სპეცოპერაციის ჩასატარებლად ღამის 12 საათიდან მზად იყო.

2 საათსა და 30 წუთზე ყაჩაღმა უარი განაცხადა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. როგორც გაირკვა, გარდა გახსნილისა, მას კიდევ რამდენიმე ხელყუმბარა აქვს. ცნობილი გახდა ისიც, რომ ერთ-ერთი მძევლის, ქალბატონის, ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე გართულდა.

დილის 4 საათსა და 15 წუთზე სიტუაცია უცვლელი იყო.

# შეწყალებულები ისევ დაიჭირეს

ერთი წლის წინ, ზესტაფონის რაიონის სოფელ შორაპანთან რამდენიმეკაციანმა ბანდიტურმა ჯგუფმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თბილისი-სტამბოლის მარშრუტით მიმავალი ავტობუსი დააყაჩაღა. თავდამსხმელებმა მგზავრებისა და თურქი მძღოლისგან 13 ათასზე მეტი ამერიკული დოლარი გაიტაცეს და გაიქცნენ. ყაჩაღური თავდასხმის სცენა ასე განვითარდა:

თბილისი-სტამბოლის მიმართულებით მიმავალ ავტობუსში მოკალათებული, სამგზავრო ბილეთებითა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტებით შეიარაღებული ორი მძარცველი თურქეთის მიმართულებით გაემგზავრა. მგზავრობისას ისინი მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ ბანდის სხვა წევრებს, რომლებიც, შეთანხმებისამებრ, გზად უნდა დახვედროდნენ. სოფელ შორაპანთან ორმა მძარცველმა მგზავრმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით და იარაღის მუქარით, მძღოლს ავტობუსის გაჩერება მოსთხოვა. გაჩერებულ ავტობუსში ავტომატებით შეიჭრნენ ბანდის სხვა წევრები და მძღოლი იძულებული გახადეს, შეშინებულ მგზავრებთან ერთად, სოფელ ფუთისკენ წასულიყო. მარშრუტს აცდენილი ავტობუსის მგზავრები და მძღოლი თავდამსხმელებმა გაძარცვეს და ნადავლით დატვირთულებმა დატოვეს იქაურობა.

ყაჩაღური ჯგუფის წევრებს სამართალდამცველები ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ. რამდენიმე დღის წინ, მომხდარიდან ზუსტად წლისთავზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ ყაჩაღთა ხუთკაციან ჯგუფს მიაგნო.

კახა აბულაძეს, ირაკლი კვინიკაძეს, კახა თურქაძეს (მეტსახელად "თურქა"), სულხან მაკარაძეს (მეტსახელად "სატანა") და მათ კიდევ ერთ მეგობარს გამოძიება ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვაში სდებს ბრალს. დამყაჩაღებლებმა ჩვენებები უკვე მისცეს. როგორც გაირკვა, თითოეული მათგანი სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში უკვე ნასამართლევია. ყაჩაღური ბანდის წევრები ვადაზე ადრე, შეწყალებით არიან გათავისუფლებულები.

*"24 საათი"*

# გაზაშვილის უდანაშაულობის საოლქო სასამართლოსაც არ სჯერა

თამარ კაციტაძე

გუშინ თბილისის საოლქო სასამართლოში ადვოკატებმა გიგი ზირაქიშვილმა და მარიკა ფხალაძემ მათი დაცვის ქვეშ მყოფის, დავით გაზაშვილის წინასწარი პატიმრობის დადგენილება გაასაჩივრეს.

როგორც ცნობილა, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ თავის დროზე რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის ოფიცრის იგორ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილ, მაგრამ საბოლოოდ იარაღის უკანონო ტარებისთვის ბრალდებულ დავით გაზაშვილს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

დავით გაზაშვილი ზაიცევის გვამის პოვნიდან მეორე დღესვე დააკავეს. ამის მიზეზი, როგორც გამოძიება ირწმუნება, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, თავად პოლკოვნიკის მეუღლის ჩვენება გახდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ზაიცევს გაუჩინარების დღეს გაზაშვილმა მას საკუთარი ავტომობილით მიაკითხა. გამოძიება დღემდე არ ასახელებს იმ მოწმის გვარსაც, რომელმაც გაზაშვილის მანქანა სწორედ იმ ადგილას ნახა, სადაც ზაიცევის გვამი იპოვეს. მოწმის მტკიცებით, ავტომობილის გვერდით პლედი და სამხედრო ტანსაცმელი ელაგა. კანონდამცველებს საეჭვოდ მიაჩნიათ გაზაშვილის მხრიდან თითქმის მტკიცებულებად აღიარებული ავტომობილის გასხვისების მცდელობის ფაქტი. არადა, ავტომობილში აღმოჩენილია მუქი ყავისფერი ლაქა, რომელიც, სავარაუდოდ, სისხლია. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებისა, გამოძიება ჯერჯერობით მაინც თავს იკავებს გაზაშვილის მკვლელად ან მკვლელობის მონაწილედ გამოცხადებისგან. ამიტომ მისი პატიმრობის მიზეზი დის სახლში აღმოჩენილი ავტომატი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დავით გაზაშვილი აღიარებს იარაღის უკანონო შენახვას და თავს დამნაშავედაც ცნობს, მისმა დამცველებმა კანონით განსაზღვრული უფლება გამოიყენეს და გაზაშვილის გათავისუფლება კიდევ ერთხელ სცადეს, მაგრამ საოლქო სასამართლომ, ქვემდგომი სასამართლოს მსგავსად, არ გაიზიარა ადვოკატთა შუამდგომლობა და დავით გაზაშვილი კვლავ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. თუმცა, ზირაქიშვილი და ფხალაძე კვლავ ძველებურად ირწმუნებიან, რომ გამოძიება გაზაშვილზე ზეწოლას ახორციელებს.

# დურგლიშვილის საქმეში ცხინვალის პროკურატურაც ჩაერთო

პირველი გვერდიდან

**შეუძლებელია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება".** როგორც გურამ ბაბუციძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველებმა გამომძიებელს იმის გარანტია ვერ მისცეს, რომ მშვიდობით დაამთავრებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და არ მოხდებოდა მისი მკვლელობა ან გატაცება. ამიტომ, ახალი დანაშაულის თავიდან არიდების მიზეზით, ბაბუციძე იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო.

დღეს ქართველი გამომძიებელი ოს პროკურორს, გაგლოევს შეხვდება და, თუ კეთილი ნება იქნება, შესაძლებელია, ოსურმა მხარემ ქართველ კოლეგებს დურგლიშვილის გატაცების ფაქტზე არსებული მასალები აჩვენონ, უკეთეს შემთხვევაში კი - გადასცენ. თუმცა, რამდენად ეფექტური იქნება ქართული მხარის აქტიურობა ვიცე-პოლკოვნიკის გასათავისუფლებლად და, მით უმეტეს, დამნაშავეთა დასადგენად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# ფალსიფიცირებული წამლების გამსაღებელი დააკავეს

მარნეულელი შოთა ხორბალაძის აფთიაქიდან სამართალდამცველებმა 820 დასახელების მედიკამენტი ამოიღეს, რომელთა შორის გაურკვეველი წარმოშობის "ტრიხოპოლი", "ლევომიცეტინი", "სუპრასტინი", "დიაბეტონი", ერითრომიცინი" და "მეზიმ ფორტე" ფალსიფიცირებული აღმოჩნდა. ეს წამლები, რომლებიც ამ დღეებში უხვად დარიგდა მარნეულის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოში დარეგისტრირებული ნიმუშებისგან მარკირებითა და შესრულების ხარისხით განსხვავდება. არარეგისტრირებულ და ფალსიფიცირებულ წამლებს შოთა ხორბალაძე ასევე არარეგისტრირებულ და ულიცენზიო აფთიაქში ყიდდა.

სამართალდამცველები გაურკვეველი წარმოშობის ფალსიფიცირებული მედიკამენტების საქართველოში შემომტანთა სიას ადგენენ. ტარდება წამლების გამოკვლევაც, რის მიხედვითაც მათი წარმომავლობა უნდა დადგინდეს.

*"24 საათი"*

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# „ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის დახმარება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი"

## აცხადებს სენატორი მაკკეინი

პირველი გვერდიდან

"24 საათის" კითხვაზე - ხომ არ გაჩნდა ამერიკის მაღალ პოლიტიკურ წრეებში შევარდნაძის პოლიტიკისადმი უნდობლობა და იმედგაცრუება - სენატორმა მაკკეინმა განაცხადა: **"რა თქმა უნდა, შეშფოთებული ვართ კორუფციით და გვსურს, ამ კუთხით უფრო მეტი პროგრესი დავინახოთ, მაგრამ ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ ოპოზიციური პარტიები ყალიბდება. ჯანმრთელი ოპოზიციური პარტიების არსებობა - ჯანმრთელი პოლიტიკური პროცესის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს. საქართველოს მოსახლეობას კი არჩევანის საშუალება აქვს,"** - ამ დიპლომატიური პასუხით სენატორმა საკმაოდ ნათლად მიანიშნა, რომ ახლად ჩამოყალიბებულ ოპოზიციას ამერიკის პოლიტიკურ წრეებში უკვე სერიოზულად აღიქვამენ.


სენატორები - ტომპსონი და მაკკეინი
ბესო გულაშვილის ფოტო

მისტერ მაკკეინი, რომელთანაც ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ, ოპოზიციის წარმომადგენლებს სადილზე შეხვდება. ამ შეხვედრაზე, ჟვანიასა და სააკაშვილთან ერთად, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეცაა მიწვეული.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პრობლემებს, სენატორებმა ყურადღება, ძირითადად, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებზე გაამახვილეს. **"სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. ამიტომ, სანამ ვითარება ძალიან საშიში გახდება, მოლაპარაკების მაგიდასთან ორივე მხარე უნდა დასხდეს. რაც შეეხება ამერიკის ადმინისტრაციის როლს, პრეზიდენტებს პუტინსა და ბუშს კარგი ურთიერთობა აქვთ, ისინი მუდმივ კონტაქტში არიან და, ალბათ, ამ საკითხზეც მოილაპარაკებენ. ხოლო ის ფაქტი, რომ საქართველოში ამერიკელი სამხედროები არიან, მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის დახმარება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი."**

დღეს სენატორები მაკკეინი და ტომპსონი საქართველოსა და რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებლებს მოინახულებენ, შემდეგ კრწანისის პოლიგონზე ამერიკელ სამხედროებს შეხვდებიან.

# სამთა ერთობა

პირველი გვერდიდან

**"ეს არ არის არანაირი პოლიტიკური ალიანსი, წინასაარჩევნოდ რომ იქმნება ხოლმე და მერე ბრინჯივით იშლება,"** - ამბობს ედპ-ს ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

**"ჩვენი შეთანხმება არ არის ვინმეს წინააღმდეგ და ვინმეს მხარდასაჭერად, ხოლო საბოლოოდ რა სახეს მიიღებს, მომავალში ვნახავთ,"** - განმარტავს "ტრადიციონალისტი" აკაკი ასათიანი.

**"დღეს არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ერთიან საარჩევნო სიას ვქმნით. ჩვენ ვქმნით თანამშრომლობის ახალ ფორმას..."** - აზუსტებს "დემოკრატი" ზურაბ ჟვანია.

გუშინ სამი პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ მათი თანამშრომლობის მთავარი მიზანია დესტაბილიზაციის არდაშვება და ქვეყნის მშვიდობიანად მიყვანა არჩევნებამდე.

პარტიების წარმომადგენლებმა გუშინ ისიც განაცხადეს, რომ დესტაბილიზაციის საფრთხე ხელისუფლებისგან მოდის და მასზე პასუხისმგებლობა ისევ და ისევ ხელისუფლებას უნდა დაეკისროს.

დეკლარაციაში, რომელსაც პარტიებმა ხელი გუშინ მოაწერეს, ერთობლივი მიზნები ასეა ჩამოყალიბებული:

მთავარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა; საქართველოს პოლიტიკური პროცესების ხელახალი კრიმინალიზაციის არდაშვება; სამოქალაქო თავისუფლებათა დაუყოვნებელი განხორციელება თითოეული მოქალაქის მიერ, უპირველეს ყოვლისა - არჩევანის თავისუფლების; პოლიტიკური პროცესების ძალადობრივი, ანტიკონსტიტუციური გზით განვითარების თავიდან აცილება; მჭიდრო ურთიერთობა ნატოსთან და ევროკავშირთან, ამ ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების მიზნით.

მოკლედ, მიზნები საკმაოდ ზოგადია და, პრინციპში, თითქოს არაფერია მათში იმაზე მიუღებელი, ვიდრე იმ საერთო დეკლარაციაში, რომელსაც თვენახევრის წინ, ამ სამ პარტიასთან ერთად, "ნაციონალურმა მოძრაობამ", "ლეიბორისტებმა", "სახალხომ", "ახლებმა" და "მწვანეებმა" მოაწერეს ხელი.

ის ენთუზიაზმი და ერთიანობის გრძნობა, რომელიც "საქართველოს კრიმინალიზაციასთან ბრძოლის დროშის ქვეშ გაერთიანებულ" ამ პარტიებს მაშინ ჰქონდათ, სულ მალევე "ჩაქრა".

ჯერ იყო და, "მწვანეები" უყურადღებობამ გაანაწყენა...

ყველაზე მოულოდნელი ამ ერთობაში "ახლების" ხილვა გახლდათ. შესაბამისად, ისინი პირველნი გაქრნენ საკონსულტაციო არენიდან. ოფიციალურად ამ მოვლენას პარტიის დასასვენებლად წასვლა ჰქვია, ანუ მოსაბრუნებელი გზა "ახლებს" დატოვებული აქვთ... სხვათა შორის, დღეს მათი მობრუნებაა შეიძლება, უფრო ლოგიკური აღმოჩნდეს, ვიდრე სხვების.

ბოლო პერიოდამდე ამ კონსულტაციებში აქტიურობდნენ "ნაციონალებიც". გუშინ კი სააკაშვილმა განაცხადა, რომ ახალი დეკლარაციის მიხედვით ნათლად არ ჩანს, რა პოზიციას დაიკავებენ პარტიები ედუარდ შევარდნაძესთან დაკავშირებით და დეკლარაციის ხელმომწერთა შორის საკუთარი არყოფნაც ამით ახსნა.

"24 საათის" კორესპონდენტთან საუბრისას, "ლეიბორისტთა" ლიდერმა განაცხადა, რომ ამ კონსულტაციებში მას არც არასდროს უაქტიურია.

**"ჩვენ გავაკეთეთ განცხადება ქვეყნის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ ხელისუფლების დემონტაჟს პოლიტიკური გზებით, ეს ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის სტრატეგია, მაგრამ ჩვენ არასდროს მივსულვართ მათთან. ძალიან კარგია, რომ ისინიც ამას მოითხოვენ დღეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ...**

**ჩვენი პარტიის სტრატეგია კი გახლავთ ისიც, რომ არ გავერთიანდებით არც ერთ ალიანსში, ვართ დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. მართალია, აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკური ალიანსი არ არის, მაგრამ როცა პარტიის ლიდერები ხელს აწერენ ასეთ საერთო დოკუმენტებზე, იქ არის საუბარი სერიოზულ პოლიტიკურ გაერთიანებაზე..."** - აღნიშნა მან.

საბოლოო ჯამში, გუშინ პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოში სამი პარტია გაერთიანდა.

ისინი აცხადებენ, რომ საბჭოს კარი ყველა პარტიისთვის ღიაა და მათთან კონსულტაციები ისევ გაგრძელდება.

ჯერჯერობით კი, ერთმანეთში აგრძელებენ კონსულტაციებს დეკლარაციაში აღნიშნულ მიზნებსა და კონსტიტუციურ რეფორმასთან, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასა და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

# სადა ვართ, ვის ხელში ვართ?!

## კითხულობს გურამ შარაძე

გიორგი ასანიშვილი

გურამ შარაძე ჯორჯ ბუშს პირველად გასულ თვეში "შეეხმიანა". ქართველი პარლამენტარი აშშ-ს ლიდერს სთხოვდა, საქართველოდან გაეწვია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი, რომელსაც მოძრაობა "ერთიანი საქართველოს" ხელმძღვანელი მართლმადიდებლების დისკრიმინაციასა და იელოველების მხარდაჭერაში სდებდა ბრალს. თბილისიდან გაგზავნილი მიმართვა შეერთებული შტატების მთავარი "ადმინისტრატორის" მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა, მაგრამ არაფრად ჩაგდებამ შარაძეს გული მაინც ვერ გაუტეხა - ჯორჯ ბუშის სახელზე ამჟამად კიდევ ერთი წერილი მზადდება, რომლის შინაარსიც, სავარაუდოდ, პირველი უსტარის ანალოგიური იქნება.

თუმცა, შარაძე, ეტყობა, გრძნობს, რომ ვერც ეს მიმართვა გამოიღებს მისთვის სასურველ შედეგს და ამიტომ მხოლოდ აშშ-ს პრეზიდენტის "კეთილგონიერების" იმედად დარჩენას არ აპირებს. მას სათადარიგო ვარიანტიც მოუმზადებია: დეპუტატი მოუთმენლად ელოდება საშემოდგომო სესიის დაწყებას, რათა რიჩარდ მაილსს თავად მოუწყოს "განკითხვის დღე" - შარაძეს განზრახული აქვს, ამერიკელი დიპლომატი პარლამენტში მოიხმოს და ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს, **"რატომ გადმოვიდა იგი სამუშაოდ ბულგარეთიდან საქართველოში, რომელი აღმსარებლობის მიმდევარია და ასე გულმოდგინედ რატომ ებრძვის მართლმადიდებლობას".**


ლევან კიკალიშვილის ნახატი

გურამ შარაძის მიერ მაილსის წინააღმდეგ ახალი კამპანიის წამოწყება პირდაპირ კავშირშია 16 აგვისტოს კასპსა და სოფელ ორთაშენში იელოველთა კონგრესის ჩაშლასთან, რასაც, როგორც ცნობილია, აშშ-ს პოლიტიკური წრეებისა და მასმედიის მხრიდან საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. პარლამენტარი ნიშნის მოგებით მიანიშნებს ამერიკის პრეზიდენტს, **"თავის დროზე ჩემი რჩევა რომ გაეთვალისწინებინა და მაილსი დროულად გაეწვია საქართველოდან, ეს ინციდენტები არ მოხდებოდა".**

**"მაშინ სად არის ხოლმე რიჩარდ მაილსი, როდესაც იელოველთა ხელით ქართული მართლმადიდებლობის ძეგლები ნადგურდება? "ნიუ-იორკ ტაიმსსაც", ეტყობა, საქმე გამოელია. იგი იმაზე სტეხს განგაშს, რომ კასპის რაიონში ორი ფაცხა და რამდენიმე ტუალეტი დაიწვა",** - აცხადებს შარაძე, რომელიც 16 აგვისტოს ინციდენტის "გასანეიტრალებლად", კვართის წმინდა გიორგის ეკლესიის დაწვასა და სხვა მართლმადიდებლური ძეგლების მიმართ გამოჩენილ ვანდალიზმში იელოველებს იქით ადანაშაულებს.

პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ იელოველებთან დაპირისპირების საკითხში საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართალი მის მხარეზეა. შარაძის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოში მოქმედი ორივე იელოვური ორგანიზაცია გაუქმებულია და, ამდენად, ამ დღიდან მოყოლებული, მათი საქმიანობა (მათ შორის, კონგრესის ჩატარების მცდელობა) უკანონოა.

**"ამის თაობაზე კონგრესის გამართვის წინ მე თვითონ გავაფრთხილე იელოველები, მაგრამ მათ ეს ყურად არ იღეს",** - შარაძის ლოგიკით, რაც კასპსა და ორთაშენში მოუვიდათ, იელოველებმა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონ.

**"სადა ვართ, ვის ხელში ვართ?!"** - მწარედ მოთქვამს აღმასრულებელი ხელისუფლების "სისუსტით" შეწუხებული საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი და საპატრიარქოსაც ჰკადრებს საყვედურს. ამის მიზეზია იელოველების მიერ სტოკჰოლმში გამოცემული ბიბლია, რომელშიც, თურმე, "ბევრი მკრეხელობაა" და დიდად განსხვავდება 1989 წელს საქართველოს საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით გამოსული გამოცემისგან. ამით აღშფოთებული შარაძე წმინდა სინოდს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებს, თუმცა, არ აკონკრეტებს, ეს "ყურადღება" რაში უნდა გამოიხატოს. ისე, ცოტა უცნაურია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მართლმადიდებლობის ინტერესების ერთგული გუშაგის პრეტენზიის მქონე შარაძის განცხადებები და მოთხოვნები მთლიანად მოდის უნისონში საპატრიარქოს მიერ განკვეთილი ბასილ მკალავიშვილის მოსაზრებებსა თუ ქმედებებთან. ამ უკანასკნელის მიერ აშშ-ს საელჩოს წინ გუშინ გამართულ მიტინგზე გამოთქმულ "რეკომენდაციებს" აშკარად ემჩნევა შარაძისეული ხელწერა. მეტიც - ვინც შარაძის პრესკონფერენციასაც დაესწრო და მკალავიშვილის მიტინგსაც, ორივე ამ ღონისძიებას აუცილებლად საერთო კონტექსტში მოიაზრებს.

# გადრჩენის შანსი - შევარდნაძის სისტემის პოლიტიკური ალტერნატივა

პირველი გვერდიდან

მაგრამ, დსთ-ს საკითხთან დაკავშირებით, ედპ-ს და შევარდნაძეს შორის შავმა კატამ გაირბინა, გიორგი ჭანტურია კი ოპოზიციის ყველაზე შეურიგებელ ლიდერად გადაიქცა. თავისი პოლიტიკური ენერგიულობის და კარგი ორგანიზაციული მონაცემების გამო, ჭანტურია ხელისუფლებისთვის ყველაზე საშიშ ძალად იქცა. თავიდან ედპ-ს ლიდერი მარტო ცდილობდა შევარდნაძესთან და მის გარემოცვასთან დაპირისპირებას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ასეთ ბრძოლაში მარტოს გაუჭირდებოდა, რასაც მოჰყვა კიდეც პოლიტიკურ კლუბში ოთხპარტიული (ედპ, ტრადიციონალისტები, მწვანეები, რესპუბლიკელები) კონსულტაციები, მთავრობის გადაყენების მცდელობა და ტერაქტი სამ დეკემბერს.

ამის შემდეგ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა უფრო სარგებლიანად შევარდნაძესთან თანამშრომლობა მიიჩნიეს. ამჯერად მთავრობაში უკვე ტრადიონალისტები თემურ ბასილია და ჯონი ხეცურიანი აღმოჩნდნენ, ხოლო მწვანეები, ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, ახლად შექმნილი მოქკავშირის ბირთვად იქცნენ. აკაკი ასათიანს საწყის ეტაპზევე არ გაუმართლა, ბასილიამაც და ხეცურიანმაც სულ ცოტა ხანში ასათიანს შევარდნაძე არჩიეს, პოლიტიკურ თამაშებში გახლართული ტრადიციონალისტები კი 1995 წელს პარლამენტს გარეთ დარჩნენ. ჟვანიამ გაცილებით დიდხანს გაძლო. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან მან ყველაზე კარგად ააწყო ურთიერთობა შევარდნაძესთან, თუმცა, საბოლოოდ პრეზიდენტს ისიც დაშორდა.

შევარდნაძის და პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გამოდგა. პოლიტიკური ძალები მუდმივად ცდილობდნენ რეალური ხელისუფლების ხელში აღებას, შევარდნაძე კი ამ მცდელობებს უპირისპირდებოდა. მოსახლეობა ამ ბრძოლას საკამოდ პასიურად უყურებდა, რადგანაც მათთვის ეს ყველაფერი მხოლოდ სკამებისთვის ბრძოლად აღიქმებოდა. თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, ბოლო ათწლეულის ეს ბრძოლა, ჯერჯერობით, შევარდნაძის სასარგებლოდ მიმდინარეობს. პოლიტიკურმა ძალებმა ვერაფერი შეძლეს: შევარდნაძესთან ყოფნამ არაფერი მოიტანა, მასთან დაპირისპირება ცალკე ვერავინ შეძლო, გაერთიანების მცდელობა კი ტერაქტებით დასრულდა.

▪ ▪ ▪

თუ ამ კუთხით შევხედავთ დღეს მიმდინარე მოვლენებს, თითქმის არაფერი შეცვლილა, თუმცა, 90-იანი წლებისგან განსხვავებით, ახლა შევარდნაძეს ზურგს მის გარშემო აღმოცენებული ბიზნეს-ჯგუფებიც უმაგრებენ. ამდენად, მასთან გამკლავება კიდევ უფრო ძნელია. სტაჟიანი პოლიტიკური ლიდერები შექმნილ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლად გაერთიანებას მიიჩნევენ. სარიშვილიც, ჟვანიაც, ასათიანიც ამ პროცესების აქტიური მონაწილენი იყვნენ. ამიტომ ისინი დღეს ყველაზე მეტად ცდილობენ კოორდინირებული ტაქტიკის შემუშავებას, რასაც მუდმივად თან სდევს კითხვა - რა პრინციპებზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს დღეს პოლიტიკურ პარტიათა გარკვეული კოორდინაცია? ამ მხრივ პასუხი ყველას ერთნაირი აქვს - საერთო ღირებულებებზე. მაგრამ იგივე წარსული ნათლად აჩვენებს, რომ ეს საკმარისი არ არის. ყველაზე მეტად პრინციპული და მთავარი კითხვა ასე ჟღერს: რა მიზნით უნდა გაერთიანდნენ ეს პარტიები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გამოვკვეთოთ ის მთავარი ღერძი, რომელზეც შევრდნაძის და პარტიული ლიდერების დაპირისპირება გადიოდა და რომელიც უცვლელი რჩება დღესაც - ანუ პოლიტიკურ პროცესს საქართველოში არასოდეს მართავდნენ პოლიტიკური ძალები. იგივე მოქკავშირის მაგალითმა აჩვენა, რომ მარტოოდენ არჩევნებში გამარჯვება სულაც არ არის საკმარისი გამარჯვებული პარტიის მიერ რეალური ძალაუფლების ხელში ასაღებად. მთავარი და განმსაზღვრელი იყო და არის პრეზიდენტის ნება. შევარდნაძე კი ყოველთვის ცდილობდა, რომ სახელმწიფოს მართვაში პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების ჩართვა ეტაპობრივად მომხდარიყო. ის მუდმივად აზავებდა ერთმანეთში ნომენკლატურას და ამ ძალების წარმომადგენლებს. ეს განმსაზღრელი შტრიხი შევარდნაძის მოღვაწეობის ყველა ეტაპზე თვალში საცემია. გარკვეულ დრომდე, ასეთი მიდგომა, შეიძლება ითქვას, პროგრესულიც კი იყო, რადაგანაც, თუ ობიექტურები ვიქნებით, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ ძალთა რესურსები კადრების მხრივ საკმაოზე მეტად შეზღუდული იყო. ეს ტენდენცია ნელ-ნელა სუსტდება და, შევარდნაძის მმართველობის ვადის განსაზღვრულობის გათვალისწინებით, შეიძლება, სიტუაცია საკმაოდ დრამატულიც აღმოჩნდეს; კერძოდ: თუ პოლიტიკურმა ძალებმა, შევარდნაძის მმართველობის მიწურულს მაინც, ვერ შეძლეს დემოკრატიული ხერხებით მდგომარეობის შეცვლა, უკვე შემდეგ ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იქნება. ამ შემთხვევაში სისტემას, რომელიც შევარდნაძემ შექმნა, სათავეში მოექცევა ჩინოვნიკთა ჯგუფი, რომლისთვისაც საჯარო პოლიტიკური პროცესი მარტოოდენ სიტყვებია. ანუ მოხდება მხოლოდ და მხოლოდ სისტემის ხელმძღვანელის შეცვლა. მოვლენების ასეთი განვითარება არც თუ ისე უცხოა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

▪ ▪ ▪

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს პოლიტიკური ძალების წინაშე საკმაოდ მკაფიო ამოცანა დგას, რასაც ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული გეგმის შემუშავება უნდა მოჰყვეს. აქვე შეიძლება გამოიყოს ამ გეგმის პირველი და ყველაზე აუცილებელი მახასიათებელი: მოსახლეობის დარწმუნება, რომ პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ ქვეყნის დამოუკიდებელად მართვა, ანუ, გარდა შევარდნაძისა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს გაძღოლას შეძლებენ. ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ პოლიტიკას სწორედ პოლიტიკური ძალები უნდა ქმნიდნენ. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, უბრალო ადამიანებში ამის განცდა ნაკლებადაა. მათთვის პარტიების საქმიანობა სატელევიზო დებატებითა და პარლამენტში კინკლაობებით შემოიფარგლება.

საერთოდ, ოპოზიციისთვის (და არა მარტო საქართველოში) ყოველთვის ძნელია თავისი ალტერნატიულობის სათანადოდ წარმოჩენა. ეს კიდევ უფრო ძნელია საქართველოში, სადაც, ჯერჯერობით, არ არსებობენ ძლიერი პარტიული სტრუქტურები, მკაფიოდ გამოკვეთილი ინტერესთა ჯგუფები. დასავლეთში შექმნილია გარკვეული მექანიზმი, რომელიც ამ პრობლემას მეტნაკლები წარმატებით წყვეტს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ე.წ. ჩრდილოვან კაბინეტს. საქართველოში რამდენჯერმე იყო ასეთი კაბინეტის შექმნის მცდელობა, თუმცა, მხოლოდ იდეის დონეზე, რადგან რეალურად მისი განხორციელება იმაზე რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამისთვის საჭიროა: პირველი - მოქმედების კონკრეტული სქემის არსებობა

და მეორე - იმ პირების გამოკვეთა, ვისაც მომავალში ამ გეგმის განხორციელება უნდა დაეკისროს. მსგავსი საკითხები კი ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის რთულად წყდებოდა - პროგრამები ლოზუნგების კრებულს დაემსგავსა, შესაძლო თანამდებობზე სიტყვის დაცდენა კი თავიდანვე დიდ შეხლა-შემოხლას იწვევს. მაგრამ დღეს განსაკუთრებული და გარდამტეხი მომენტია. მისი არგამოყენების შემთხვევაში კი, ასეთი შანსი შეიძლება, მომავალში აღარც იყოს. ამიტომ, ნებისმიერ კონსულტაციას თუ გაერთიანებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ შეიქმნება რეალურად მოქმედი ინსტიტუტი, რომელიც მთავრობის ნებისმიერ ქმედებას არა მარტო კრიტიკას შეაგებებს, არამედ მოსახლეობას უკეთეს ალტერნატივას შესთავაზებს. სწორედ ასე უნდა წარმოჩინდეს ის ღირებულებები, რომლებზეც დღეს ამდენს საუბრობენ. მხოლოდ ასე შეიძლება დაიძლიოს გაურკვეველი მომავლის წინაშე მოსახლეობის ფსიქოლოგიაში არსებული შიში. მხოლოდ ასე შეიძლება იმ სისტემის მშვიდობიანი დამარცხება, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ შექმნა.

# არჩევნები ქუთაისურად - „ვინც სად შეძლო, იქ „ჩააწყო"

პირველი გვერდიდან

თანაც დასძინა, რომ **"1992 წლიდან მოყოლებული, ეს პირველი შემთხვევაა, როცა არჩევნების შედეგები ასე საგულდაგულოდ შეისწავლეს".**

ჯერჯერობით უცნობია, დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნას რა რეაქცია მოჰყვება "ახალი მემარჯვენეების" მხრიდან. როგორც ცნობილია, ქუთაისის მერი სწორედ მათი პროტეჟეა. საკრებულოშიც უმრავლესობით სწორედ "ახლების" კანდიდატები გავიდნენ. ასე რომ, ზაფხულის არდადეგებიდან დედაქალაქში დაბრუნებული "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებს კოლეგა-პარლამენტარები საკმაოდ არასასიამოვნო სიურპრიზს დაახვედრებენ. საპარლამენტო კულუარებში არც იმას გამორიცხავენ, რომ მთელი ეს პროცედურა მიზნად ისახავს სწორედ ქუთაისის მერის არჩევნების შედეგების გადამოწმებისთვის ნებართვის მიღებასა და ამით "ახალი მემარჯვენეებისათვის" საკმაოდ სერიოზული დარტყმის მიყენებას.

## ბინ ლადენის ვიდეოთეკა - „ალ ქაიდა" ქიმიურ იარაღს ცდიდა

ტელეკომპანია CNN-ის კორესპონდენტ ნიკ რობერტსონს ხელში ჩაუვარდა 64 ვიდეოფირი, რომლებზეც ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელის მოღვაწეობის ფრაგმენტები და ტერორისტების საწვრთნელი ვარჯიშებია ასახული.

ნიკ რობერტსონმა ვიდეოთეკას, რომელსაც ოსამა ბინ ლადენის პირად საკუთრებად მიიჩნევენ, ავღანეთში, ქაბულიდან 17 საათის სავალზე მდებარე პატარა ქალაქში მიაგნო. ვიდეოფირებზე აღბეჭდილია "ალ ქაიდას" ბოლო ათი წლის მოღვაწეობის ბევრი საინტერესო მომენტი, მათ შორის, 1998 წელს ოსამა ბინ ლადენის მიერ ამერიკისათვის ჯიჰადის გამოცხადება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძაღლებზე ქიმიური ნივთიერების მეშვეობით ჩატარებული ექსპერიმენტები, რომლებიც, ოფიციალური ვაშინგტონის აზრით, "ალ ქაიდას" მიერ ქიმიური იარაღის მოპოვების მცდელობაზე მიუთითებს.

სხვა ვიდეოფირებზე აღბეჭდილია კონკრეტული სავარჯიშოები, რომლებიც ტერორისტულ ბანაკებში მყოფებს ეძლეოდათ. ეს ვიდეოფირები "ალ ქაიდას" მებრძოლების "სასწავლო მასალას" წარმოადგენდა.

CNN-ისათვის მიცემულ ინტერვიუში "ალ ქაიდას" ცნობილმა სპეციალისტმა და წიგნის ავტორმა როან გუნარატნამ განაცხადა, რომ ადრე არასოდეს უნახავს ეს ვიდეოფირები. მისი აზრით, CNN-ის ჟურნალისტის "ნადავლი" უშუალოდ "ალ ქაიდას" ხელმძღვანელობის, შესაძლოა, პირადად ბინ ლადენის საკუთრებასაც კი წარმოადგენდა.

## შვეულმფრენის კატასტროფას 85 ადამიანი შეეწირა

სავარაუდოდ, 85 კაცი დაიღუპა და 30-მდე დაშავდა გუშინ ჩეჩნეთში რუსული შვეულმფრენის "მი-26"-ის კატასტროფის შემდეგ. ტელეკომპანია ნრგ-ს ინფორმაციით, ბორტზე 127 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი იმყოფებოდა. შვეულმფრენს მოზდოკიდან გროზნოს ახლოს მდებარე ხანკალის აეროპორტში რუსი სამხედროები გადაჰყავდა. კატასტროფა მოსკოვის დროით 5 საათზე მოხდა.

სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ჩეჩნური საინფორმაციო საშუალებების მასალა, რომლის თანახმად შვეულმფრენი ჩეჩენმა ბოევიკებმა ჩამოაგდეს. თუმცა, ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დასტურდება, რადგან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ჩამოვარდნის წინ პილოტმა ბაზას აცნობა, რომ ძრავში გაჩენილი ხანძრის გამო იძულებული იყო, შვეულმფრენი დაესვა. მას არაფერი უთქვამს რაკეტის მოხვედრის შესახებ.



ჯარისკაცები "მი-26"-ში სხდებიან
REUTERS

დაუზუსტებელი ინფორმაციით, შვეულმფრენი ხანკალადან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, დანაღმულ მინდორზე ჩამოვარდა, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა სამაშველო სამუშაოები.

რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით, კატასტროფის მიზეზების გასარკვევად შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც ქვეყნის სახმელეთო ჯარების სარდალი უხელმძღვანელებს.

"მი-26" მსოფლიოში ყველაზე დიდი ტვირთამწეობის მქონე შვეულმფრენია. ხოლო მომხდარი კატასტროფა, რუსული მასმედიის მონაცემებით, ყველაზე მასშტაბურია სამხედრო-საჰაერო ძალების ისტორიაში.

*"24 საათი"*

## ისრაელმა ჯარის გაყვანა დაიწყო, კიდევ ერთი ცნობილი ტერორისტი იღუპება

ისრაელის მთავრობასა და პალესტინის ადმინისტრაციას შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ისრაელის არმიამ ოკუპირებული ღაზის სექტორისა და ქალაქ ბეთლემის გათავისუფლება დაიწყო. პალესტინელები ისრაელს დაჰპირდნენ, რომ თავად გააკონტროლებენ ვითარებას და ტერორისტულ აქტებს ყოველნაირად აღკვეთენ.

ამ შეთანხმების მიუხედავად, პალესტინურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა, მათ შორის, "ჰამასმა", "ისლამურმა ჯიჰადმა" და "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტმა" განაცხადეს, რომ არ აპირებენ შეიარაღებული წინააღმდეგობისა და ებრაელებზე თავდასხმების შეწყვეტას.

ამასობაში ბაღდადში, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს პალესტინელი ტერორისტი აბუ ნიდალი, რომელსაც ვაშინგტონი, დიდი ხანია, დაეძებდა. აბუ ნიდალი ცეცხლსასროლი იარაღისაგან მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა, თუმცა, ჯერ არ გარკვეულა, მოკლეს თუ თავი მოიკლა. იგი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას და იასირ არაფატის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა. 70-80-იან წლებში აბუ ნიდალის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს ოც ქვეყანაში ასობით ადამიანი შეეწირა.

## წყალდიდობა ევროპაში უკან იხევს, ბუდაპეშტი გადარჩა

დრეზდენისა და პრაღის კვალდაკვალ, წყლით დაფარვის საფრთხე დაემუქრა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტსაც. გუშინ, დილის საათებში, დუნაის წყლის დონის რეკორდულ აწევას მოელოდნენ, რასაც, შეიძლებოდა, ქალაქის ცენტრალური ნაწილის დატბორვა მოჰყოლოდა. ბუდაპეშტის 10 000 მოსახლე მთელი ღამის განმავლობაში ქვიშის ტომრებით დუნაის გასწვრივ ჯებირებს აგებდა, რამაც შედეგი გამოიღო და თითქმის 9 მეტრით აწეულმა წყალმა ქალაქში ველარ შეაღწია. მიუხედავად ამისა, მდინარის ნაპირებიდან გადმოსვლის საშიშროება კვლავ არსებობს, ამიტომ სანაპიროს გამაგრების სამუშაოები სამშაბათ დილამდე გრძელდებოდა.

მდინარე ელბამ კვლავ გაარღვია ჯებირები, ამჯერად გერმანულ ქალაქ ვიტენბერგთან, რომელიც ბერლინიდან 140 კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით მდებარეობს. ჯებირების შეკეთებას მაშველები ვერტმფრენებიდან ჩამოყრილი ქვიშის ტომრებით ცდილობდნენ. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომის დროიდან ყველაზე დიდი სამაშველო ოპერაცია წამოიწყეს, რომელშიც ბუნდესვერის 20 ათასამდე ჯარისკაცია ჩართული. ბოლო დღეებში გერმანიაში 50 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.



უნგრეთის პარლამენტის შენობა წყალდიდობას გადაურჩა
REUTERS

აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში – გერმანიაში, რუსეთში, ავსტრიასა და ჩეხეთში – ბოლო ორი კვირის განმავლობაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა უკვე 106 შეადგინა. ევროკომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი დაზარალებული ქვეყნების მეთაურებს შეხვდა და სასწრაფო ფინანსური დახმარების გამოყოფას შეჰპირდა. "ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჭეშმარიტი ევროპული სოლიდარობის არსებობა უნდა დავამტკიცოთ," – განაცხადა მან. ევროკავშირის შეფასებით, წყალდიდობისაგან მიყენებულმა ზარალმა, შეიძლება, 20 მილიარდ დოლარს მიაღწიოს, ხოლო დაზარალებული მოსახლეობის საერთო რიცხვმა – 4 მილიონს. ზარალის ნახევარი მარტო გერმანიაზე მოდის.

## ურუს-მარტანის სისხლისღვრა - რუსული და ჩეჩნური ვერსიები

რუსული სააგენტო "რია-ნოვოსტის" ცნობით, რომელიც ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბის წარმომადგენელ შაბალკინის განცხადებას ეყრდნობა, გუშინ რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ურუს-მარტანის რაიონში, ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფის დევნისას, 39 მათგანი გაანადგურეს. ჩეჩნების ჯგუფმა რუსების მიერ კონტროლირებად ორ სოფელში შეაღწია, მაგრამ რუს სამხედროებთან შეტაკებაში განადგურდა. შაბალკინის ცნობით, ბოლო დღე-ღამის განმავლობაში ჩეჩნეთში 11 სამხედრო სპეცოპერაცია განხორციელდა, რომლის დროსაც ჩეჩენი მებრძოლების იარაღის 10 საწყობი აღმოაჩინეს და გაანადგურეს.

თავის მხრივ, ჩეჩნების სააგენტო "კავკაზ-ცენტრი" აცხადებს, რომ სამი დღის წინ ურუს-მარტანის რაიონში ოთხასამდე ჩეჩენმა მებრძოლმა რამდენიმე სოფელი დაიკავა და გუშინდელ დღემდე შეინარჩუნა. რუსებთან მომხდარი შეტაკების შემდეგ ჩეჩნები უდანაკარგოდ დაუბრუნდნენ თავიანთ სამთო ბანაკებს, რუსებმა კი 35 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

ურუს-მარტანის ბრძოლების შესახებ, ჯერჯერობით, დადასტურებული ინფორმაცია არ არსებობს და საეჭვოა, ვითარება საბოლოოდ გაირკვეს. თუმცა, ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩეჩენი მებრძოლების აქტივობამ შესამჩნევად იმატა.

## ირანის ლიდერი საგარეო პოლიტიკის კურსს განსაზღვრავს

ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ, რომელიც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალია, ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომელსაც ირანის საგარეო პოლიტიკის ყველა მოხელე უნდა ითვალისწინებდეს. საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებულ ირანელ ელჩებთან შეხვედრისას ხამენეიმ განაცხადა, რომ ირანის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებად მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მთელი მსოფლიოს მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება და ევროპასა და აზიასთან თანამშრომლობა უნდა იქცეს.

ირანის მტრებზე საუბრისას ხამენეიმ დიდი ყურადღება დაუთმო იმ საფრთხეს, რომელიც ისლამურ რესპუბლიკას შეერთებული შტატებისაგან ემუქრება: "ვაშინგტონი მიზნად ისახავს ირანელი ხალხის ძლიერების, დიდებისა და ერთიანობის დარღვევას," – განაცხადა ხამენეიმ. სულიერი ლიდერის აზრით, ცალკეული ამერიკელი პოლიტიკოსების მოსაზრებები, ირანთან ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე, არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავენ ამერიკის ოფიციალურ კურსს და ამიტომ მათ სიფრთხილით უნდა მოეპყრან.

ხამენეის განცხადებებს დაემთხვა ირანის პრესაში გავრცელებული ინფორმაცია პრეზიდენტ ხათამის ბაქოში ვიზიტის თაობაზე, რომელიც მალე უნდა შედგეს. ეს ირანში აზერბაიჯანის ელჩმა ჰასანოვმაც დაადასტურა. ელჩის თქმით, ირანის პრეზიდენტის ვიზიტი ბაქოში "ორი ქვეყნის ურთიერთობების არნახული გაფართოებისაკენ იქნება მიმართული".

ირანში უზენაესი ძალაუფლება რელიგიურ ლიდერს ხამენეის ეკუთვნის, ხოლო პრეზიდენტი ხათამი, არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, მხოლოდ აღმასრულებელ ფიგურად რჩება. შესაბამისად, ხათამი იძულებული იქნება, უზენაესი სულიერი ლიდერის მიერ გამოცხადებული კურსი გაითვალისწინოს და საგარეო პოლიტიკა ისლამისტი კონსერვატორების სურვილების მიხედვით განახორციელოს. ძნელი სათქმელია, მიუჩენენ თუ არა რაიმე ახალ ადგილს თავიანთ პოლიტიკურ რუკაზე ირანელი აიათოლები და პრეზიდენტი აზერბაიჯანს, რომელთანაც თეირანს აქამდე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

ეკონომიკა

## „აგვისტოში თბილისს გაზი არ შეუწყდება"

### "თბილგაზის" დირექტორის ოპტიმიზმს "საქგაზში" არ იზიარებენ

სოფიკო ოხანაშვილი

*"საქგაზში" "თბილგაზისათვის" ბუნებრივი აირის გამორთვის საკითხი დღის წესრიგში, ჯერჯერობით, არ დგას. უფრო მეტიც, "იტერას" შვილობილ კომპანიაში იმასაც აცხადებენ, რომ, მოლაპარაკებების თანახმად, პუნქტი, რომელიც გაზის გათიშვას გულისხმობს, შეიძლება, საერთოდ არ ამოქმედდეს. არადა, რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციით, "საქგაზი" თბილისში გაზის გათიშვას, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, 20 აგვისტოსთვის ვარაუდობდა. ძნელი სათქმელია, რატომ შეიცვალა "საქგაზის" ხელმძღვანელობის პოზიცია, თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლეონიდ დეიკალოს გადაწყვეტილება მოსკოვში "იტერასთვის" "თბილგაზის" გადაცემის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას დაემთხვა.*

2002 წლის თებერვალში სააქციო საზოგადოება "თბილგაზსა" და "საქგაზს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, "თბილგაზმა" ყოველი თვის 25 რიცხვამდე შემდეგ თვეში გამოსაყენებელი გაზის ღირებულება წინასწარ უნდა გადაიხადოს. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ამოქმედდება ხელშეკრულების ის პუნქტი, რომელიც გაზის გამორთვას ითვალისწინებს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა იმედოვნებს, რომ ხელშეკრულების ეს პუნქტი არ ამუშავდება. **"თუ "იტერამ" ის მომთხოვა, რაც ხელშეკრულებაშია - წინსწრებით გადახდა, ჯერ ერთი, ამას ვერ შევძლებ, და მეორეც, ამდენი მოლაპარაკებები წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება",** - განაცხადა "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა.

რაც შეეხება აგვისტოს, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ აგვისტოში დახარჯული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით დედაქალაქს პრობლემა არ შეექმნება. **"დღე-ღამეში თბილისი 170-180 ათასი კუბური მეტრის მოცულობის გაზს მოიხმარს. 24 აგვისტომდე უკვე საკმაოდ დიდი თანხა მაქვს გადახდილი, დანარჩენს თვის ბოლომდე გადავიხდი. ყოველთვიურად შესატან თანხებს მე ეტაპობრივად ვიხდი. "თბილგაზის" გამო ქალაქს არანაირი პრობლემა არ შეექმნება",** - პირობას დებს ვახტანგ ცაავა.

"თბილგაზის" ინფორმაციას აგვისტოს თვეში დახარჯული გაზის საფასურის წინასწარ გადახდის შესახებ "საქგაზშიც" ადასტურებენ, მაგრამ იქ ცაავას ოპტიმისტურ განწყობას მთლიანად ვერ იზიარებენ. "საქგაზის" პრესცენტრის განცხადებით, ის თანხა, რომელიც "თბილგაზს" აგვისტოში დასახარჯი ბუნებრივი აირის საფასურად წინასწარ, ივლისში ჰქონდა გადახდილი, რამდენიმე დღის წინ ამოიწურა.

## „ინფოკომის" პრივატიზების კანონიერება სასამართლოს გადასაწყვეტია

### სამთავრობო კომისია პრეზიდენტს საბოლოო დასკვნას ორ დღეში მოახსენებს

გიორგი კალანდაძე

"ინფოკომის" პრივატიზების კანონიერების საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. ესეც იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ინფოკომის" თანამშრომლები ამ სატელეკომუნიკაციო საწარმოს პრივატიზების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. რაც შეეხება სამთავრობო კომისიას, რომელსაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ "ინფოკომის" კანონიერების საკითხის დადგენა დაავალა, იგი მთავრობას საბოლოო დასკვნას ორ დღეში წარუდგენს. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, კომისიის წევრთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ "ინფოკომი" კანონის სრული დაცვით გაიყიდა.

როგორც "24 საათი" წერდა, თუ დამტკიცდება, რომ "ინფოკომის" პრივატიზებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები მართლაც დაირღვა, ქონების მართვის სამინისტროს საწარმოს პრივატიზების შედეგის ავტომატურად გაუქმება მოუწევს. თუმცა, ამ შემთხვევაში, წესით, ყველა იმ საწარმოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს, რომლებიც 2000 წლის პირველი იანვრის შემდეგ გაიყიდა და რომელთა პრივატიზებაც მოხდა არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, არამედ სახელმწიფო ქონების პრივატიზების კანონის შესაბამისად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სადავო მუხლი ე.წ. დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საკითხს ეხება. ამ ნორმის თანახმად, "ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ... სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100 ათას ლარს..." ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი სახელმწიფო მინისტრის მოადგილის აკაკი ზოიძის სახელზე გაგზავნილ წერილში მიუთითებს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება, თუ ქონების ფასი 100 ათას ლარს აღემატება, უნდა მიიღოს დამოუკიდებელმა ორგანომ. "ინფოკომის" პრივატიზებისას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს მოთხოვნები უხეშად იქნა დარღვეული".

ამ მოსაზრებას არ იზიარებს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი. ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კოდექსის 158-ე მუხლში საუბარია არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალურ ქონებაზე. ამდენად, მისი შეფასებით, "ინფოკომის" პრივატიზებისას კოდექსის ეს მუხლი არ დარღვეულა, რადგანაც "ინფოკომი" მუნიციპალური საწარმო არ არის.

კარბელაშვილის წერილში გამოთქმულ არგუმენტებს იზიარებს კოდექსის ერთ-ერთი ავტორი პარლამენტარი ზურაბ ადეიშვილი. მისი თქმით, "ინფოკომის" პრივატიზების პროცესში დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ორი მოთხოვნა. "ასეთ დროს კი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ, თუ დარღვეულია კოდექსის მუხლები, რომელიც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, ეს გადაწყვეტილება ავტომატურად უნდა გაუქმდეს. ამ პროცედურას კოდექსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს", - დასძინა ადეიშვილმა.

რაც შეეხება განმარტებას, რომ კოდექსის მუხლი მხოლოდ მუნიციპალურ საწარმოს შეეხება, მას არ იზიარებს იურისტი ნონა წოწორია. "24 საათთან" საუბარში მან აღნიშნა, რომ კოდექსის აღნიშნული მუხლი გულისხმობს როგორც მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო საწარმოებს. კოდექსის ამ ნორმის საბოლოო განმარტება სასამართლოს პრეროგატივაა. ამისათვის კი აუცილებელია, რომ "ინფოკომის" კოლექტივმა სასამართლოში პრივატიზების შედეგების გაუქმების მოთხოვნით სარჩელი შეიტანოს.

"ინფოკომის" პრივატიზების კანონიერების საკითხი გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, აკაკი ზოიძესთან გამართულ შეხვედრაზე განიხილეს, რომელსაც "ინფოკომის" პრივატიზების კანონიერების დამდგენი კომისიის წევრები დაესწრნენ. სხდომაზე დარიგდა კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომელიც პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს საბოლოო სახით, სავარაუდოდ, ორ-სამ დღეში დაურიგდებათ.

## რუსეთი სამკაულებს ჰყიდის

თორნიკე შარაშენიძე

აურაცხელი საგარეო ვალების დასაფარად რუსეთის მთავრობა ყველაფერზე მიდის. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, მოსკოვმა გადაწყვიტა, გაყიდოს უნიკალური სამკაულების კოლექცია, რომლითაც ჯერ კიდევ სსრკ-ს პერიოდსა და ცარიზმის დროს იწონებდა თავს.

ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინის თქმით, ცხადია, სამკაულები ვერ გაისტუმრებენ ქვეყნის ვალებს (რომლებიც 128 მილიარდ დოლარს შეადგენს), მაგრამ მათგან მიღებული შემოსავალი, უდავოდ, დიდი შეღავათი იქნება სახელმწიფოსათვის, რომელმაც წელს 14 მილიარდი დოლარი, გაისად კი 17,2 მილიარდი დოლარი უნდა გაისტუმროს.

რუსეთის ეკონომიკა ბოლო დროს აშკარა აღმავლობას განიცდის. რამდენიმე რუსული კომპანია ნიუ-იორკის ბირჟაზეა კოტირებული, ქვეყანა ნავთობის უდიდესი მომპოვებელია, უცხოურ კორპორაციებთან კონტაქტები სულ უფრო მყარდება და ა. შ. როცა ამ რამდენიმე ხნის წინ პრეზიდენტმა ბუშმა რუსეთს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა უწოდა, ეს მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი როდი გახლდათ. გასულ წელს ეკონომიკური წინსვლა იმდენად დიდი იყო, რომ პუტინმა საჯაროდ თქვა უარი საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან კრედიტების მიღებაზე. თუმცა, ამ ეიფორიამ საკმაოდ მალე გადაიარა – მსოფლიოში გამეფებულმა კრიზისმა რუსეთზეც უარყოფითად იმოქმედა და მოსკოვში მალე გააცნობიერეს, რომ უცხოური დახმარებების გარეშე ფონს გასვლა გაჭირდება.

სამკაულების გარდა, რუსეთის მთავრობა სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კომპანიების გაყიდვასაც გეგმავს. შემოსული თანხა, ვალების გასტუმრების პარალელურად, ბიუჯეტის მოსალოდნელი დეფიციტის ლიკვიდაციაზე წავა. სავარაუდოდ, მომავალ წელს პრივატიზებულ იქნება 450 სახელმწიფო კომპანია და წილები 450 კომპანიაში. მოსკოვი იქვე არ მალავს, რომ აპირებს, კრედიტები აიღოს უცხო სახელმწიფოებისგან და ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორებისგანაც.

www.24hours.ge 24 B

# ალექსანდრე ჩივაძე - ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორდენის კავალერი

### თბილისს უეფა-ს პრეზიდენტი ესტუმრა

მიხეილ აბაიშვილი

დამეთანხმებით, ალბათ, ფეხბურთი დიდი ხანია, გასცდა წმინდა სპორტულ ჩარჩოებს. ამდენად, სპორტის ეს სახეობა დღეისათვის, ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ბიზნესთან ერთად, დიდი პოლიტიკაცაა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა. გუშინ სწორედ ამ პიროვნების მასპინძლობის პატივი მესამედ ხვდა წილად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. შვედი პრეზიდენტის სტუმრობის მთავარი მიზანი ქართველ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. დღეს თბილისში საზეიმოდ იხსნება "ქართული ფეხბურთის სახლი" – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი, რომლის აშენებაშიც უეფა-ს მხოლოდ მორალური მხარდაჭერა არ აღმოუჩენია. მშენებლობის ხარჯების ძირითადი ნაწილი უეფა-ს გრანტით(450 ათასი ევრო) დაიფარა.

უეფა-ს პრეზიდენტი თბილისში სტოკჰოლმიდან პარიზის გავლით ჩამოფრინდა. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ იუჰანსონის რეისმა საათით და 25 წუთით დაიგვიანა. სამაგიეროდ, თავის დროზე ჩამოფრინდა თვითმფრინავი კიევიდან, რომელსაც შეკრებილ მრავალრიცხოვან ჟურნალისტთათვის მოულოდნელად "მილანის" (ოღონდ, არა წნორის) ქართველი ლეგიონერი კახა კალაძე ჩამოჰყვა. მოგეხსენებათ, კალაძის ძმა კვლავაც გამტაცებელთა ხელშია და ადრე გაკეთებული განცხადების მიხედვით, კახა მანამ არ მოირგებს ეროვნული ნაკრების მაისურს, სანამ მის ძმას არ გაათავისუფლებენ. კახამ გუშინ ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა თავისი გადაწყვეტილების უცვლელობა:

- აზრი არ შემიცვლია და სანამ ჩემს ძმას არ გაათავისუფლებენ, ნაკრებში თამაშს არ ვაპირებ.

**- რა მიზნით ჩამოხვედი საქართველოში?**

- მე საქართველოს ნაკრების წევრი ვარ და ხვალ გუნდთან ერთად ტრაბზონში გავემგზავრები, სადაც ნაკრები შეკრებას და ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. მართალია, არ ვითამაშებ, მაგრამ ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებ და ბიჭებს მორალურად მაინც დავეხმარები.

**- შენი ძმის გატაცებასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- არაფერი მნიშვნელოვანი.

**- ხომ არ აპირებ, შეხვდე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს?**

- ხვალ დილით 10 საათზე მივემგზავრებით თურქეთში. ზეგ თბილისში დავბრუნდები და, ალბათ, შინაგან საქმეთა მინისტრს შევხვდები.

როგორც იქნა, პარიზის რეისიც ჩამოფრინდა, რომელსაც ლენარტ იუჰანსონთან ერთად უეფა-ს აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს მენეჯერი ერიხ ჰეპლე ჩამოჰყვა. საპატიო სტუმრები ტრაპიდანვე "შერატონ მეტეხისკენ" გაემგზავრნენ, ნახევარსაათიანი დაბინავება-დასვენების შემდეგ კი სფფ-ს მიერ ორგანიზებულ საზეიმო ბანკეტზე აღმოჩნდნენ, რომელსაც რესტორანმა "ძველმა სახლმა" უმასპინძლა. ზემოთ მთავარი მიზანი ვახსენე. ლენარტ იუჰანსონს კიდევ ერთი მიზანი, გნებავთ, მისია ჰქონდა შესასრულებელი, თანაც, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე სფფ-ს ოფისის გახსნაა. შეგახსენებთ, რომ 3 თვის წინ უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ალექსანდრე ჩივაძის დაჯილდოება გადაწყვიტა. მაშინ საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა მოუცლელობის გამო ვერ შეძლო სტოკჰოლმში ჩასვლა და ჯილდოს მიღება, ამიტომაც იუჰანსონმა ეს ჯილდო თბილისში ჩამოიტანა.



ლენარტ იუჰანსონი და "ლალის ორდენის" კავალერი ალექსანდრე ჩივაძე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო



კახი კალაძე თბილისში ჩამოვიდა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოს – "ლალის ორდენის" – კავალერი წელს ევროპის მხოლოდ რვა გამორჩეული მოღვაწე გახდა. ამ ჯილდოზე უკეთესი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ვიტყვი, რომ ჩივაძესთან ერთად "ლალის ორდენის" მფლობელები გახდნენ ფრანც ბეკენბაუერი, ვალერი ლობანოვსკი, რინუს მიხელსი...

"იმ ქვეყნის წარმომადგენლისთვის, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთს მისცა ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია და სხვა კიდევ მრავალი გამორჩენილი ფეხბურთელი, ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოს მიღება უდიდესი პატივია. მიმაჩნია, რომ ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთის აღიარებაა და ეს ჯილდო არა მხოლოდ პირადად მე, არამედ ყველა ქართველ ფეხბურთელს და გულშემატკივარს ეკუთვნის. მე ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ", - თქვა დაჯილდოებაზე გულაჩუყებულმა ჩივაძემ.

დღეს, დილის 10 საათზე, საზეიმოდ გაიხსნება "ქართული ფეხბურთის სახლი". ცერემონიალს, ევროპული ფეხბურთის პრეზიდენტის გარდა, საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება.

## რაგბი

# გერმანულ-ფრანგული მზადება

პაატა თოთაძე

ისე მოხდა, რომ ოქტომბერი ქართველ სპორტის მოყვარულთ საკმაოდ დატვირთული თვე გამოგვივა. ჯერ ფეხბურთელებს უწევთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში რუსების მასპინძლობა, შემდეგ კი ქართველი მორაგბეები მათთვის უმნიშვნელოვანეს მატჩში რჩეულ რუს მორაგბეებს დაუპირისპირდებიან.

ქართველ მორაგბეთა უმეტესობა საფრანგეთში ბურთაობს და იმ მატჩისთვისაც იქ ემზადება. მზადების ერთ-ერთი ეტაპი, შვიდკაცა რაგბში, ჰაიდელბერგის საერთაშორისო ტურნირზე ქართველთა მონაწილეობა იყო. ტურნირი გაიმართა ჰაიდელბერგში (გერმანია) და პორტუგალიელთა გამარჯვებით დასრულდა. ფინალში მათ, სწორედ, ქართველი მორაგბეები დაამარცხეს, არადა, მანამდე ჩვენებს მეტოქე დამარცხებული ჰყავდათ ჯგუფში ანგარიშით - 15:13. ბორჯღალოსნებთან და პორტუგალიელებთან ერთად ჯგუფში ჩეხები და უკრაინელებიც იყვნენ. ჩეხები ქართველებმა გაანადგურეს (56:0), აი, უკრაინელებთან კი, მოულოდნელად დამარცხდნენ (7:14). ეს, ალბათ, იმიტომ, ჯგუფიდან გასვლა განაღდებული რომ ჰქონდათ.

ნახევარფინალში ქართველთა მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო. ბრძოლა საკმაოდ დაძაბული და უშეღავათო გამოვიდა, რაც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს – 12:10.

ჩვენს მორაგბეებს მზადების შემდგომი ეტაპი გუშინ დაეწყოთ. ხვალ საფრანგეთში იწყება ვაკერენის სახელობის ტურნირი, რომელშიც, წარჩინებულ ფრანგულ კლუბებთან ერთად, ქართველი მორაგბეებიც მონაწილეობენ.

რაც შეეხება ორი დღის წინ დასრულებულ სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრეს ტურნირს. ბოლო ტურის წინ მოგების ყველაზე მეტი შანსი ახალი ზელანდიის "ოლ ბლექსს" ჰქონდა, მაგრამ განწირული არც ავსტრალია იყო. "ვოლაბიზს", გათამაშების მოსაგებად, სტუმრად უნდა დაემარცხებინა სამხრეთ აფრიკის ნაკრები, თანაც, უბრალოდ კი არა, 26 ქულის სხვაობით. ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენიც კი იყო. საბოლოოდ, ავსტრალიელებმა საერთოდ ვერ მოახერხეს გამარჯვება, 33:31 დამარცხდნენ და ორწლიანი ბატონობის შემდეგ პირველობა ზელანდიელებს გადაულოცეს.

## ჩოგბურთი

**ინდიანაპოლისი. აშშ.** ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 800 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი პატრიკ რაფტერი (ავსტრალია). ფინალი.

*გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი, 14) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:7 (6:8), 6:4, 6:4.*

ბრიტანელმა გრეგ რუსედსკიმ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. მან უაღრესად დრამატულ მატჩში ზედიზედ მეორედ შემოატრიალა თამაში თავის სასარგებლოდ და ინდიანაპოლისის ფინალიც დამსახურებულად მოიგო.

**ვაშინგტონი. აშშ.** ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 800 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი (აშშ). ფინალი.

*ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) – პარადორნ სრიშაფანი (ტაილანდი, 14) 1:6, 7:6 (7:5), 6:4*

ზედიზედ ორი წელია, ვაშინგტონის ტურნირზე ამერიკელი ჩოგბურთელები დომინირებენ. შარშან როდიკმა იმარჯვა, წელს კი - ჯეიმს ბლეიკმა.

თამაშმა კულმინაციას მეორე სეტში მიაღწია, როცა ბლეიკმა მეტოქის შეცდომით ისარგებლა და ტაი-ბრეიკზე მოიგო (7:5).

**მონრეალი. კანადა.** ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 1 224 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი (აშშ). ფინალი.

*ამელი მორესმო (საფრანგეთი, 7) – ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 2) 6:4, 6:1*

"უცბად, თამაშის წინ გადაღლა ვიგრძენი. ასეთი შემთხვევა არასოდეს მომსვლია, მით უფრო ფინალის წინ. საწყენია, რომ ჩემს ქომაგებს იმედი გავუცრუე", – ამბობს ჯენიფერ კაპრიატი, რომელმაც, ყველასთვის მოულოდნელად, ფინალური მატჩი ფრანგ ამელი მორესმოს, საკმაოდ იოლად, ორ სეტში დაუთმო.




# პეტრიაშვილის მხარდამჭერნი დარწმუნებულნი არიან მის გამარჯვებაში

პაატა თოთაძე

24 აგვისტოს გაირკვევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მომავალი პრეზიდენტის ვინაობა და ოფიციალურად დასრულდება კანდიდატებს შორის ბრძოლაც, რომელიც მებრძოლი მხარეების განცხადებით, ხშირ შემთხვევაში, უწესოდ მიმდინარეობს და ყველა თავის მოწინააღმდეგეს ადანაშაულებს.

სწორედ ასეთ ფაქტს მიეძღვნა გუშინ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსის, კახა ჭუმბურიძის პრესკონფერენცია. მისი თქმით, ფედერაცია კიდევ ერთხელ მოიქცა უწესოდ. ამჯერად, ფედერაციის ხელმძღვანელებმა სცადეს, ზეწოლა მოეხდინათ ზუგდიდის "ლაზიკას" პრეზიდენტზე და მას მოთხოვეს ყრილობის დელეგატის გაწვევა, რომელიც მხარს პეტრიაშვილს უჭერს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჭუმბურიძე მხოლოდ ამ საკითხით არ შემოფარგლულა. "ფედერაციამ ხალხი მოატყუა, მონიეს მეორე წერილი როგორც მათ აწყობდათ, ისეთი ნათარგმნით წარუდგინეს საზოგადოებას. ერთი წინადადების შეცვლით წერილის არსი შეიცვალა; საერთოდ არ არის საუბარი ფიფა-დან საქართველოს გარიცხვაზე. უბრალოდ, ფედერაციის ხელმძღვანელობას სურს, ამგვარად წარმოაჩინოს ვითარება; ისეთი აზრი გავრცელდა, თითქოს უეფა-ს პრეზიდენტი, ლენარტ იუჰანსონი თბილისში მერაბ ჟორდანიას მხარდასაჭერად ჩამოდის. გარწმუნებთ, ეს ასე არაა. ეს ჩვეულებრივი ვიზიტია. ფედერაციის ახალი ოფისის მშენებლობა უეფა-ს დაფინანსებულია და ბუნებრივია, იუჰანსონს აინტერესებს, ამ ფულით რა გაკეთდა. ვიმეორებ, მისი ვიზიტის მიზანი რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერა არაა", - აღნიშნა ჭუმბურიძემ. პრესკონფერენციაზე ყურადღება იმ ფაქტზეც გაამახვილეს, რომ ფედერაციის ოფისის გახსნაზე პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის მოსაწვევები არ დაურიგებიათ: "პეტრიაშვილმა თავისი პროგრამის პრეზენტაციაზე ყველა მიიწვია, მათ შორის, მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია. მათ კი ელემენტარული ეთიკის ნორმები დაარღვიეს და პრეზიდენტობის კანდიდატებს - დავით პეტრიაშვილსა და ვაჟა ჩხაიძეს ოფისის გახსნაზე მოსაწვევები არ გაუგზავნეს. კიდევ ერთ საკითხი – საინტერესოა, რატომ დასჭირდა მერაბ ჟორდანიას ბლატერთან შეხვედრისას კოლოსკოვის თარჯიმნის, მარინა კრავჩენკოს წაყვანა? განა, საქართველოში ინგლისურის ნორმალურად მცოდნე სხვა არავინ არ მოიძებნა? ანდა, რაში დასჭირდა ჟორდანიას შიდა სამზარეულოს სააშკარაოზე გამოტანა?"

უმთავრესი კი კვლავაც სასამართლოს გადაწყვეტილება და ჟორდანიას მხრიდან მისდამი დამორჩილება-დაუმორჩილებლობის საკითხი იყო. "ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება. ყრილობაზე აღმსრულებლებიც იქნებიან და რეგისტრაციაში არ გაატარებენ იმ დელეგატებს, რომლებსაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ ეკუთვნით. არჩევნებში 61 დელეგატის მონაწილეობის შემთხვევაშიც კი, გამარჯვებული დავით პეტრიაშვილი დარჩება, მაგრამ მთავარი კანონის უზენაესობაა და ჩვენც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ვიბრძოლებთ", - განაცხადა ჭუმბურიძემ.

# „მე ყველაფერს ჩემით ვაკეთებ"

## ისრაელში მამაცი ხალხი ცხოვრობს

გიორგი გახელაძე

**"ახლა ჩემზე ბედნიერი არავინ მგონია. 15 წელია, საქართველოდან ასული ვარ და სულ ვოცნებობდი ებრაელებს, სწორედ ჩემთან ერთად, უბრალოდ ენახათ საქართველო. მით უფრო, როცა ისრაელში ამოსული ყველა ებრაელის ერთ-ერთი პირველი მასპინძელი მე ვარ,"** – აღფრთოვანება სახეზე ეწერა ისრაელის აბსორბციის სამინისტროს თანამშრომელს, ნონა ჩიკოს (ჩიკვაშვილი-კოჟიაშვილი), რომელიც 42-მა მეტოქემ, ორ თანაგუნდელთან ერთად 2002 წლის "უდაბნოს დედოფლად" აღიარა,. **"ახლა ერთი კვირა ჩემს მშობლიურ თბილისში ყოფნით ვიჯერებ გულს,"** – კარგად შენარჩუნებული, ნამდვილი მეიდნური აქცენტით მითხრა ნონამ.

18 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, გაუვალ გზებზე მოგზაურობის ჟინით შეპყრობილი ებრაელი ქალბატონების ერთკვირიანი ავტოაღლუმი, გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდა. ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი სპორტული შეჯიბრი. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთსა და გარეჯის უდაბნოში მათი მოგზაურობა ხმაურიან და მგზნებარე დღესასწაულს უფრო ჰგავდა.

მეოთხე წელია, ისრაელის გეოგრაფიული საზოგადოება და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული ჟურნალი Teva Hadvarim აწყობენ კონკურსს მხოლოდ ქალებისათვის - "უდაბნოს დედოფალი". ამ ასპარეზობას გაუვალ გზებზე ჯიპის ტიპის ავტომობილებით მოგზაურობის სახე აქვს. პაექრობისას ავტომობილის მართვის ოსტატობას, ნავიგაციასა და გუნდურ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, მოგზაურობის განმავლობაში იმართება შეჯიბრი კლდეზე ცოცვასა თუ სამთო-სამდინარო წინაღობების გადალახვაში. მაგრამ, გამარჯვების უპირველესი საზომი, როგორც ვთქვი, თანადგომის უნარია. ალბათ, სწორედ ამიტომ, ჟიურის წევრები მხოლოდ კონკურსანტები არიან, რომლებიც ფარული კენჭისყრით ასახელებენ წლის "დედოფალთა სამეულს" – ერთი მანქანის ეკიპაჟს. **"თუმცა, უსაფრთხოებისა და საიმედოობისათვის ყოველ გუნდს გვყავდა ორგანიზატორების მიერ "მოჩენილი" მეოთხე – გამოცდილი წევრი,"** – აღნიშნა ბერ-შევაელმა პედიატრმა ნანი ქოსაშვილმა, რომელიც წარმოშობით ონიდან არის და მისი სიდინჯე, მართლაც, რაჭულს წააგავს. **"სიმართლეს ვიტყვი, ფათერაკის მაძიებელი არასოდეს ვყოფილვარ და 4 თვის წინათ "სოხნუთის" შემოთავაზება უხალისოდ მივიღე. მაგრამ, 11 წლის შემდეგ საქართველოში პირველად ჩამოსვლის შანსი ძალიან მომხიბლავი აღმოჩნდა. 6 ათასი მსურველიდან 150 რომ შეირჩა, მაშინაც არ მქონდა გადაწყვეტილი წამოსვლა. დამიჯერეთ, ბოლო მომენტში დავთანხმდი და ორი დღე ჯიპის მართვას მასწავლიდნენ. ინტელექტის,**



2002 წლის "უდაბნოს დედოფლები" — გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**ჯანმრთელობისა და კოლექტიური თავსებადობის ტესტი კი უმაღლეს დონეზე მქონდა გავლილი,"** – ქალბატონი ნანის გონიერი თვალებში დაღლილი სინანულის ნაცვლად, გაბედულებით მიღებულ სიხარულს ამოიკითხავდით.

**"ქუთაისი ქალაქიააა, ინდუსტრიის მშე-ნე-ბე-ლიი...,"** – თავდავიწყებით მღეროდა იერუშალაიმელი სტომატოლოგი ორიტ მორი, იგივე სვეტა იოსებაშვილი. "ჩვენ სამიდან ყველაზე ახალი, 9 წლის ასული მე ვარ. მაგრამ ვერ წარმოიდგენ, როგორ მომენატრა აქურობა. იმდენ რამეს ვაგროვებ სამახსოვროდ, რა საბარგული დაიტევს, არ ვიცი. ერთი ყუთი აქაური ვაშლის წაღებასაც კი ვფიქრობ სერიოზულად," – თბილისში, ბოლო ღამეს ცეკვისგან ფეხნაღრძობი ორიტის ამ სიტყვებზე ნონა ჩიკომ და მე ხარხარი ვერ შევიკავეთ. ავტობუსამდე ხელკავზეც უარი მითხრა: **"არ ვარ ნაჩვევი. მე ყველაფერს ჩემით ვაკეთებ".** მაგრამ, ვერაფრით მოიფიქრა, რა უპასუხოს დედამისს თელ-ავივის აეროპორტში: **"ნამდვილი ქუთაისელია. როგორ დავაჯერო, რომ კლდე-ღრეში ნივით მგზავრობისას და უფსკრულზე თოკით გადასვლისას არაფერი შემემთხვა და კლუბში ცეკვის დროს ამოვიტრიალე ფეხი?"**

ისრაელის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული კომპანიის Geographic Tours-ის მენეჯერმა, არიკ ბრაზერმა "დედოფლების" დაჯილდოებისას სიამაყით თქვა: **"მეოთხე კონკურსს ვასრულებ და მსგავსი განცდა არ მქონია. გუშინ უფლისციხეში 100 ადამიანი (მონაწილეებს ერთი იმდენი ჟურნალისტი ახლდა) მზად იყო, ხელი მოეწერა, რომ ასეთი ლამაზი და გულღია ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ ეგულებათ".** მისი თქმით, ექსპედიცია ბედნიერი ვარსკვლავის ქვეშ "დაიბადა": "როდესაც, იდეის გასაზიარებლად ისრაელში საქართველოს მაშინდელ კონსულს, ლაშა ჟვანიას მივმართეთ, სასწაული მოხდა. ზუსტად 3 წუთში უკვე ლაშა გვიხსნიდა ჩვენი საქართველოში მოგზაურობის მნიშვნელობასა და სიკეთეს". ამაში თავადაც დარწმუნდებოდით, სამშობლოში დაბრუნების წინ ემოციებს აყოლილი, ერთი შეხედვით მამაკაცური, ქალების ჟივილი რომ გენახათ. აგზნებული კივილი, სტადიონის შესაფერისი სიმღერა და გაუთავებელი ტაში ისმოდა, როდესაც თავის ქართველ მეგზურს, მაშველსა და მასპინძელს - №1 ჯიპის მეთაურ ნიკოს, დასამშვიდობებელი სიტყვა მისცეს. მასპინძელი კომპანიის Caucasus Travel-ის მხრიდან ექსპედიციის გზამკვლევმა და "დედოფლების" "მეფედ" ერთხმად აღიარებულმა ნიკო ერქომაიშვილმა დროებითი "სამწყსოს" გაბედულება და სიმამაცე განსაკუთრებით აღნიშნა. ჩანს, ეს თვისება მხოლოდ ამ ქალბატონებს არ ახასიათებს. მიუხედავად ორწლიანი საომარი მდგომარეობისა, არიკ ბრაზერის თქმით: **"ბევრმა ისრაელშიც არ იცის, რომ სწორედ ამ პერიოდში, ქვეყანამ 75 ათასი რეპატრიანტი მიიღო და ჩვენც რვა თანამემამულე მოგვყვება."**

**"2000 წლიდან "სოხნუთმა", ბოლო ინტიფადას დაწყებისთანავე, სამოგზაურო-ტურისტულ ინიციატივას ე.წ. სახალხო დიპლომატიის დატვირთვა შესძინა და სპონსორებთან ერთად, აქტიურად არის ჩაბმული ამ ყოველწლიური აქციის მზადებაში. სწორედ, ამის შედეგია ექსპედიციის ძალიან ფართო საინფორმაციო უზრუნველყოფა ებრაული მედიის მხრიდან",** - სრული სერიოზულობითა და საფუძვლიანი სიამაყით თქვა ისრაელის ელჩმა საქართველოში, რივკა კოჰენმა.

**"აქ, საქართველოში, ჩვენ არ გვიცხოვრია საფრთხისა და შიშის განცდით. ისრაელში ასვლისთანავე ეს გრძნობა მუდამ თან გვდევს. შესაძლოა, ამიტომაც გვაქვს განსაკუთრებული ნოსტალგია. მაგრამ იგივე გრძნობა ძალას გვმატებს ყველაფერში. ისრაელში მამაცი ხალხი ცხოვრობს,"** – მოკლედ ამიხსნა ნანი ქოსაშვილმა.

# ნადირობის სეზონი „მწვანე ოთახმა" და რომა რცხილაძემ გახსნეს



ახალი სიმღერის პრეზენტაცია — ბესო გულაშვილის ფოტო

კოკისპირული წვიმები, რომელმაც საკმაოდ გააგრილა აგვისტოს სიცხით შეწუხებული, თბილისში დარჩენილი მოსახლეობა, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდა. კერძოდ კი, საუბარია ჯგუფ " მწვანე ოთახისა" და რომა რცხილაძის მიერ შექმნილი ახალი სიმღერის პრეზენტაციაზე, რომელიც პირდაპირ კუს ტბაზე მოცურავე ბორანზე შედგა.

პრეზენტაციაზე საქართველოს უხუცეს მონადირეთა მთელი კოჰორტა გახლდათ მიპატიჟებული, რადგან 17 აგვისტოს მიმდინარე წლის ნადირობის სეზონი გახსნილად გამოცხადდა. მაგრამ სწორედ ამ დღეს ქალაქური ზაფხულისთვის უჩვეულო კოკისპირულმა წვიმამ კუს ტბა ლამის "პალიასტომის ტბად" აქცია და ხსენებული აქციაც, შესაბამისად, ჩაიშალა. სამაგიეროდ, მეორე დღეს კუს ტბაზე მოლივლივე ბორანზე ჯგუფმა "მწვანე ოთახმა" და სპილოსავით დინჯად მობაჯბაჯე რომა რცხილაძემ საზოგადოებას მთელი მონდომებით წარუდგინეს ახალი სიმღერა "ნებადართულია".

სიმღერის ტექსტის ავტორი პოპულარული პოეტი კოტე ყუბანეიშვილი გახლავთ, იდეა კი გიორგი გურგულიას ეკუთვნის.

საქართველოში კულტურული მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს რომ ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ამ სიმღერის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, გიორგი გურგულიამ კომპანია "ყაზბეგს" მიმართა, რომლის ხელმძღვანელობას მოეწონა სიმღერის შექმნის იდეა და ხელიც გაუმართა. თანაც, სიმღერის პრეზენტაციას ნადირობის სეზონის გახსნა და მისივე ნაწარმის, "ლუდაღლუმში" გამარჯვებული ლუდ "მონადირის" პრეზენტაციაც დაამთხვია.

საღამოს ცნობილი წამყვანი აჩიკო ფურცელაძე წაუძღვა, რომელიც მოხდენილად ხუმრობდა მონადირეებზე, ქოლგებს შეფარებული საზოგადოება კი ნებიერად წრუპავდა ლუდ "მონადირეს" და რომა რცხილაძისა და "მწვანე ოთახის" მიერ შესრულებულ ახალ სიმღერას აჭაშნიკებდა.

# „აეროსმიტი" ბრიტნი სპირსს ბოიკოტს უცხადებს

"აეროსმიტს" ჯერ კიდევ არ დავიწყებია ბრიტნი სპირსთან ერთობლივი მუშაობით გამოწვეული უსიამოვნებები და ბრიტნისთან ერთად სიმღერას აღარ აპირებს. "აეროსმიტის" ფანებისათვის მათი საყვარელი ჯგუფისა და ბრიტნი სპირსის ერთობლივი გამოსვლა ნამდვილი იმედგაცრუება აღმოჩნდა და, რაც მთავარია, ეს კონცერტი თავად ჯგუფის წევრებმაც კრიტიკულად შეაფასეს. მათ დიდხანს ემახსოვრებათ სპირსთან მუშაობის მწარე გამოცდილება და ამას მეორედ აღარ გაიმეორებენ. "რას ვიზამთ, რაც იყო, იყო. ასეთი რამ ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ჩვენ ხომ ბრიტნი სპირსთან ერთობლივი მუშაობის გამოცდილება არასოდეს გვქონია," - ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში "აეროსმიტის" გიტარისტი ჯო პერი.

ჯგუფის წევრები ყველაზე დიდი სიამოვნებით მიკ ჯაგერთან მუშაობის პერიოდს იხსენებენ. "აეროსმიტის" სამომავლო საკონცერტო ტურნეები უფრო სერიოზული იქნება, თანაც ბევრად უფრო სერიოზულ მუსიკოსებთან ერთად. ამჯერად ჯგუფმა სამთვიანი ტურნე ნიუ-ჯერსის შტატიდან დაიწყო. მასთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგება რეპ-ტრიო Run-D.M.C., რომლის მიერ 1986 წელს შესრულებულ "აეროსმიტის" სიმღერას - Walk This Way დიდი წარმატება ხვდა წილად და Kid Rock-ი, რომლის მეშვეობითაც გასულ წელს ჯგუფმა როკ-ენ-როლის შესრულებითაც გაითქვა სახელი.

"აეროსმიტის" წევრებს დიდი იმედი აქვთ, რომ ფანები ამჯერად კმაყოფილნი დარჩებიან.

# მსოფლიოს უხუცესი მკვიდრი

გინესის წიგნში ყველაზე ხანდაზმული ადამიანის სახელი ჩაიწერა: ეს არის 114 წლის ამერიკელი ადელინა დომინგესი, რომელიც ამერიკა-მექსიკის საზღვარზე ცხოვრობს. თავად დომინგესი დარწმუნებულია, რომ ჟურნალისტები მას ასაკს აკლებენ, სინამდვილეში კი ის 1887 წლის 19 თებერვალს დაიბადა, ანუ 115 წლისაა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს უხუცესი მკვიდრი რეკორდების წიგნში ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე შევიდა.

"ბებიაჩემს სრულებითაც არ ანაღვლებს, მას ერთი წლით გააახალგაზრდავებენ, თუ დააბერებენ," – ამბობს ადელინა დომინგესის შვილიშვილი. ოჯახის წევრებს უხარიათ კიდეც: ისინი, ახლა უკვე ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ხელმეორედ იზეიმებენ ბებიის 115-ე დაბადების დღეს.



# დასაქმების საკითხები

## „ბი-პი“-ს (ბპ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების ფარგლებში

კომპანია „ბი-პი“-ს (BP) და მისი პარტნიორების საქმიანობის გაფართოება საქართველოში, რაც ორი დიდი პროექტის - „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა“ და „სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ პროექტების განხორციელებას გულისხმობს, დაკავშირებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებსა და ინტენსიურ საქმიანობასთან აღნიშნულ პროექტებში მონაწილე სამ ქვეყანაში - აზერბაიჯანში, საქართველოში და თურქეთში.

ნავთობისა და გაზის მილსადენების პროექტებში ადგილობრივი კადრების დასაქმება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს. ბუნებრივია, თავის მხრივ, კომპანია „ბი-პი“ (BP) ყოველმხრივ უზრუნველყოფს ამ პროცესის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვას.

უკანასკნელ პერიოდში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ცალკეული ჯგუფების მიერ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ისინი, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, უზრუნველყოფენ მსურველთა დასაქმებას „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის“ და „სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ მშენებლობაზე.

## გახსოვდეთ!

სიმართლეს არ შეესაბამება დაპირებები იმის თაობაზე,რომ გარკვეული საზღაურის საფასურად თქვენ დაგეხმარებიან ამ პროექტებში დასაქმებაში. თუ ვინმე ავრცელებს ასეთ ცრუ ინფორმაციას,გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საქართველოს მოსახლეობას: - ნუ გადაუხდით თანხას ნურც პიროვნებასა და ნურც ორგანიზაციას, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ არავითარი უფლებამოსილება აწარმოონ რაიმე მოლაპარაკება მოსახლეობასთან დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით.

მსგავსი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთხოვთ გააფრთხილოთ თქვენი ახლობლები და მეგობრები, მიაწოდოთ მათ სწორი ინფორმაცია და დაგვეხმაროთ ამ პროექტებთან დაკავშირებული დასაქმების პროცესების ღიად და გამჭვირვალედ წარმართვაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ,რომ სამუშაოზე მიღება მოხდება მხოლოდ კომპანია „ბი-პი“ის (BP) მიერ საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შერჩეული ძირითადი სამშენებლო კონტრაქტორის - „სპი კაპაგ-პეტროფაკ“-ის (Spie Capag (France) - Petrofac (US )) მიერ ორგანიზებული სამუშაოზე აყვანის სპეციალური ბიუროების მეშვეობით,რომლებიც განლაგდება მილსადენის მთელი მარშრუტის გასწვრივ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: - დასაქმების პროცედურა არის სრულიად უფასო და ამ პროცესში კომპანია „ბი-პი“ (BP) და სამშენებლო კონტრაქტორი „სპი კაპაგ - პეტროფაკი“ არ იხელმძღვანელებენ რაიმე სახის რეკომენდაციებითა და „პრივილეგირებული სიებით“.

## ვის უნდა მივმართოთ სამუშაოზე მიღების თხოვნით?

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მთელი პროცესის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველსაყოფად შეიქმნება და მილსადენის მთელი მარშრუტის გასწვრივ განლაგდება სამუშაოზე აყვანის სპეციალური ბიუროები. აღნიშნული ბიუროები მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას არსებულ სამუშაო ადგილებსა და შესაბამის მოთხოვნებზე.

სამუშაოზე აყვანის თარიღამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, სამშენებლო კონტრაქტორი ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით მიაწვდიან ინფორმაციას მშენებლობის პროცესის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შესახებ რაიონების მიხედვით.

სამუშაოს მსურველებმა სამუშაოზე აყვანის სპეციალურ ბიუროებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. როგორც კომპანია „ბი-პი“ (BP), ასევე სამშენებლო კონტრაქტორი უზურნველყოფს,რომ სამუშაოზე აყვანის სპეციალური ბიუროები მოეწყოს ისეთი რაოდენობით და ისეთ ადგილებში,რომ ისინი ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის .

## სამუშაოზე მიღების წესი

კომპანია „ბი-პი“ (BP) გაუწევს მონიტორინგს დასაქმების პროცესს,ხოლო სამუშაოზე დაქირავებას წარმართავს უშუალოდ სამშენებლო კონტრაქტორი „სპი კაპაგ - პეტროფაკი“.

სამშენებლო კონტრაქტორი სამუშაოზე აყვანის საკითხში იხელმძღვანელებს ქვემოთ ჩამოყალიბებული პრინციპებით:

1. სამუშაოზე აყვანის დროს სამუშაოთა უმრავლესობისათვის უპირატესობა მიენიჭება იმ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელზეც გადის მილსადენების მარშრუტი და წარმოებს სამშენებლო სამუშაოები. დამატებითი სამუშაო ძალის საჭიროების შემთხვევაში,მუშახელის სამუშაოზე აყვანა მოხდება ჯერ რაიონის,შემდეგ რეგიონის,და ბოლოს ქვეყნის მასშტაბით.
2. ინფორმაცია დასაქმების შესახებ ერთნაირად ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ვინც ცხოვრობს მილსადენების სამშენებლო დერეფნის სიახლოვეს.
3. კომპანია „ბი-პი“ (BP) უშუალოდ განახორციელებს სამშენებლო კონტრაქტორის მიერ წარმოებულ სამუშაოზე მიღების მთელი პროცესის მონიტორინგს.

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებთან დაკავშირებული დასაქმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

თამილა ჩანტლაძეს ან თამთა ბენაშვილს
„ბი-პი“ -ს (BP) მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი
საქართველო,ქ. თბილისი,აღმაშენებლის გამზ. №123ა
ტელ.:(995 32) 699 600

# ბრიჯიტ ბარდოსგან შორს

ალბათ, ბევრი ქალი ოცნებობს, რომ ახალგაზრდა ბრიჯიტ ბარდოს ადარებდნენ, მაგრამ არა ლეტიცია კასტა. კორსიკელ მოდელს, რომელსაც მართლაც ხშირად ამსგავსებენ საფრაგენთის კერპ-ქალს, სურს, რომ საზოგადოებას თავი ბარდოსგან დამოუკიდებლად დაამახსოვროს. "არსებობს ერთადერთი ბრიჯიტ ბარდო. მე ლეტიცია ვარ და ყველაფერს სხვანაირად ვაკეთებ", - განმარტავს ის.

როგორც ჩანს, ლეტიციას ეს არცთუ ცუდად გამოსდის - 24 წლის ასაკში ის უკვე ფლობს დაახლოებით 4 მილიონ დოლარად შეფასებულ ქონებას. ანუ, უკვე ისეთი სიმდიდრის პატრონია, რომ მაღალი ჰონორარების ასაღებად პოდიუმზე პოზირება აღარ სჭირდება და თავი "ლორეალისა" და Victoria's Secret-ის სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობითაც გააქვს. რაც მთავარია, კასტას დიდი დრო რჩება საყვარელ ოჯახთან განმარტოებისა და 9 თვის ქალიშვილის, სატინის აღზრდისთვის. პარალელურად ის თავისი ოცნების განხორციელებასაც ასწრებს და კინოკარიერას იქმნის. მის ანგარიშზე უკვე ექვსი ფილმია, მათ შორის გახლავთ ჟერარ დეპარდიესა და ჯონ მალკოვიჩთან ერთად განსახიერებული როლები. ხოლო სექტემბერში ლეტიცია ახალ ფილმზე, Errance-ზე დაიწყებს მუშაობას.

ერთი სიტყვით, ლეტიციას ბრიჯიტობა არ სურს. თუმცა, მიუხედავად ამ კატეგორიული განცხადებისა, მას საზოგადოება მაინც ბრიჯიტ ბარდოს საქმის გამგრძელებლად მიიჩნევს – კასტა ხომ


ლეტისია კასტა

ბარდოსა და კეტრინ დენიოვის შემდეგ, საფრაგენთის რევოლუციის სიმბოლოდ აღიარეს. მისი სილამაზით მოხიბლულმა მოდელიერმა, ვივიენ ვესტვუდმა კი განაცხადა: "ღმერთის არ მწამს, მაგრამ როცა ლეტიციას ვხედავ, აზრს ვიცვლი".

ცნობისთვის: კორსიკელი მოდელი უკვე დიდი ხანია, პარიზში ცხოვრობს საქმროსთან, მოდის ფოტოგრაფ სტეფან სედნეუსა და ცხრა თვის ქალიშვილთან ერთად.

# ტომი ჰილფიგერის ახალი თავსატეხი

ტომი ჰილფიგერს მალე პოპულარობაში საკუთარი ქალიშვილი ელი შეეცილება. 17 წლის გოგონა დიზაინერობას არ აპირებს, სამაგიეროდ კინემატოგრაფითა და ტელეჟურნალისტიკით ინტერესდება. რამდენიმე ხნის წინ ის ფილმის Proudly We Serve პროდიუსერად მოგვევლინა (ბიუჯეტი 1 მილიონი დოლარი). ახლა ელი უფრო გრანდიოზულ პროექტზეა გადართული. ის ამზადებს საკუთარ შოუს, რომელიც ნანტაკეტის (მასაჩუსეტსის შტატი) ადგილობრივი ტელე-არხით გავა.

ჟურნალ "ნიუ იორკ მეგეზინის" ცნობით, უმცროსი ჰილფიგერი თავის შოუს კუნძულის ყველაზე მდიდრულ ვილებში გადაიღებს და აღწერს იმ თინეიჯერების ცხოვრებას, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ გოგონას გადაცემის მომზადებაში თითქმის არავინ ეხმარება. ის თავად გეგმავს გადაღების, მონტაჟის, სცენარის საკითხებს.

თუმცა, ბუნებრივია, ელის წარმატების მიღწევაში მამის პრესტიჟი და სახელიც ეხმარება. ცნობილი დიზაინერის გათამამებული ქალიშვილი განათლების მიღებაზეც უარს ამბობს. რამდენიმე ხნის წინ, მან მშობლებს განუცხადა, რომ თავისი ტალანტის, ფანტაზიების და შემოქმედებითი უნარის წყალობითაც იოლად გავა ფონს და წარმატების მიღწევაში სქელტანიანი სახელმძღვანელოების გაზეპირება არ სჭირდება.

# მოდაში გადასახლებული ვარსკვლავები

ზოგი ვარსკვლავისთვის პენსიაში გასვლის შემდეგ, ტკბილი სიბერის გარანტია მოდაა. უფრო სწორედ, მოდის ბიზნესი. ცნობილი სახეების ამ კატეგორიას მიეკუთვნება ხუთი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ნიჩბოსანი სტივ რედგრეივიც. 40-წლიანი სპორტული კარიერა რედგრეივმა ახლახან დაასრულა და გადაწყვიტა, მოდის საკუთარი ხაზი შექმნას. სპორტსმენს საკუთარი ბიზნესისთვის უკვე სახელიც აქვს შერჩეული – Fivegold-ის სამარკო ნიშნით გამოსული სპორტული ტანსაცმელი სხვა, უკვე დამკვიდრებულ ფირმებს გაუწევს კონკურენციას. სახელი Fivegold-ი კი ყველას შეახსენებს, რომ რედგრეივი ოლიმპიურ თამაშებზე პირველი პრიზით ხუთჯერ დააჯილდოვეს.

თუმცა, ბუნებრივია, რედგრეივი უპირველესად წყლის სპეციალისტია, ხოლო როცა საქმე მოდას ეხება, მას მხარდაჭერა სჭირდება. Fivegold-ის დაარსებაში მას მოდის კომპანია Rui Group-ი დაეხმარება. რედგრეივის პირველი კოლექცია ოქტომბრიდან გამოვა, თუმცა, მომხმარებელი ნაწარმის შეძენას მხოლოდ საფოსტო შეკვეთებით შეძლებს. პენსიაში გასული სპორტსმენი სპორტით გატაცებულ საზოგადოებას მაღალი ხარისხის ტანსაცმელს ჰპირდება.

როგორც ცნობილია, რედგრეივისგან განსხვავებით, დაბერებას არ დაუცადა დევიდ ბექჰემმა. ის მოდის სამყაროში საკმაოდ დამკვიდრებული სახელია. თუმცა, სპორტსმენები მარტონი არ არიან. მოდის მანია განსაკუთრებულად "მწვავე" ფორმებით ჰოლივუდელ ვარსკვლავებს შეეყრებათ ხოლმე. მოდელირებაზე გადასულ მსახიობთა მთელ რიგს თავად ჯონ მალკოვიჩიც უერთდება. მალკოვიჩი თავის მოდურ ამბიციებს ნიუ-იორკელ ფრანჩესკო რულისთან ერთად დაიკმაყოფილებს. მათ მიერ შექმნილი ტანსაცმლის ხაზი – Mrs Mudd მამაკაცებისთვის იქნება განკუთვნილი და მომხმარებელს კლასიკური სტილის მოდელებს შესთავაზებს. მსახიობს იმედი აქვს, რომ მისი იმიჯი საზოგადოებას Mrs Mudd-ის ნაწარმისადმი დადებითად განაწყობს.

ვარსკვლავის სტატუსი და პოპულარობა საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში ხომ მართლაც ბევრს დაეხმარა. კაილი მინოუგი, ელ მაკფერსონი, ჯენიფერ ლოპესი, პაფ დედი – ამ ცნობილმა სახეებმა წარმატებას მოდის ბიზნესში სწორედ საკუთარი ვარსკვლავობით მიაღწიეს. პაფ დედი ამერიკის დიზაინერთა საბჭოს სამ ნომინაციაზეც იყო წარდგენილი.

როგორც ჩანს, ამ წარმატებული ბიზნესის ამბებმა ბრიტანეთის სამეფო კარამდეც მიაღწია და მოდაში გადასახლებული ვარსკვლავების გამოცდილების გათვალისწინება თავად პრინცმა ჩარლზმაც მოინდომა. ასე რომ, მალკოვიჩის პარალელურად მოდაში ბედს ისიც ცდის. ჩარლზის სამეფო სამარკო ნიშნის Country Casuals-ის სახელით სვიტერები, შარფები, ტვიდის პიჯაკები გამოვა. უნდა ითქვას, რომ პრინცი ჩარლზი დგას კომპანია Duchy Originals-ის უკანაც, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა სურსათს აწარმოებს. კომპანია ბისკვიტებს, ყველს, ძეხვს, ბეკონს უშვებს და მთელ მოგებას ქველმოქმედებაზე ხარჯავს. თუმცა, ჰოლივუდელი ვარსკვლავებისგან განსხვავებით, პრინცი ჩარლზი ჯერ ფიქრის სტადიაშია. ამ ეტაპზე, ალბათ, ის თავის მოდურ იდეებს ავითარებს.


სტივ რედგრეივი

უმაღლესი განათლება
დიდ ბრიტანეთში

თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით
შედარებით დაბალ ფასებში
დაგვიკავშირდით:

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში 29 აგვისტოს შემდეგ +441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## TV პროგრამა 20 აგვისტო

### რუსთავი - 2
07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 "ცხოველთა ომები"
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 "ლუისი და კლარკი"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაუროების ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "პიკის საათი 2" მთ.როლებში ჯეკი ჩანი, კრის ტაკერი

### პირველი არხი
08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 18.50 ვიდეოპატრული
12.55 მხ. ფილმი "შეხვედრა მთაში"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. სენეგალი - თურქეთი (განმეორებითი ჩვენება)
17.10 "ჩემი გოგლა"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.00 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 აგრობიზნესბანკი
22.10 მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან"
00.30 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.50 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.10 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი
19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "უცნობი პიროვნებები"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "სამურაი"

### ევრიკა
10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-12 სერია
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "იარაღის გზა"

### იბერია
08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 ბურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ტეხასის რეინჯერები"
22.30 ძველი კინო "ცხოვრება მშვენიერია"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტოროლა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მევერიკი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 "ჩაძიროგანა"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "რაინდის ისტორია". მთ. როლებში ხით ლეჯერი, მარკ ადი, რუფუსი სიუელი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მარსის მოჩვენებები". მთ. როლებში ნატაშა ხენსტრიჯი, აის კიუბი
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია
12.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
13.35 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"
15.10 მხ.ფ. "ლამაზმანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "დათვი"
22.30 მხ.ფ. "შერბურული ქოლგები"

### მეცხრე არხი
09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" 30-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 30-ე სერია
10.15, 12.35, 14.45, 17.10, 21.40, 23.55, 00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "მევერიკი"
12.45 დოკ. ფილმი "ბინგი - მისი ლეგენდარული წლები"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "სინათლე ბნელში"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 31-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 31-ე სერია
18.45 მხ.ფ. "გაქცევა" 1-ლი სერია მთ.როლებში ალ. ბატალოვი, ვ. საველევა
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
21.30 დოკ. ფილმი
21.50 მხ.ფ. "ოუშენის 11 მეგობარი"
00.40 მხ.ფ. "ანა კარენინა".

### აჭარის ტელევიზია
09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ელისო"
10.45 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "შეშლილი პროფესორი"
14.00 დრამა "ტელევიქტორინა"
16.15 მულტსერიალი "უხსოვარი დროის დედამიწა-2"
17.25 თრილერი "შეთქმულება თეთრ სახლში"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30, 23.15 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი "ქალაქი ადრე იღვიძებს"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
01.05 თრილერი "ჩალის ქოფაკები"
03.30 მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა"

### VII არხი
09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
11.40 მულტსერიალი
12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.20 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.25 "სახლიდან გაუსვლელად"
12.55 მუსიკალური ბიორითმი
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 სპორტი
14.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.35 მოკლედ... სპორტი
21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.55 "სახლიდან გაუსვლელად"
22.25 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ერთ მშვენიერ დღეს"
00.10 პრესის მიმოხილვა
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - მხ.ფილმი "კერკეტი კაკალი"
03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ
07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" Х.ф. "ПОБЕГ"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.20 "Народ против"
15.05, 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
16.15 "Кумиры"
16.50 "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.10 х.ф. "ТАЙНЫЙ АГЕНТ РОЙС"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧИЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР
06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 Диалоги о животных
11.00 "ВОЗВРАЩЕНИЕ БУДУЛАЯ"
12.20 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ЧУЖАЯ МАСКА" 1-я часть
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. УБИЙСТВО НА ПОЛЕ ДЛЯ ГОЛЬФА"
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ЧУЖАЯ МАСКА" 2-я часть
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф."ИМИТАТОР"
02.15 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Испании - Сборная Ирландии. 1/2 финал.

### НТВ
07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ" Информационно-развлекательная программа
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ОПАСНАЯ БЛИЗОСТЬ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ Информационная программа
11.25 "ВНИМАННИЕ. РОЗЫСК!" "Убийство в зале суда"
12.20 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
13.20 "НА ВОЙНЕ КАК НА ВОЙНЕ" фильм. В ролях: Михаил Кононов, Олег Борисов, Виктор Павлов и Михаил Глузский
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня. "ВЕРИТЬ ЛИ В ПРИМЕТЫ?"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
18.35 "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик режиссера Джона Ву
19.40 "КРИМИНАЛ"
20.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ОГОНЬ НА ОПЕРЕЖЕНИЕ"
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ -4" сериал. США
00.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ВСЕ ЭТО РОК-Н-РОЛЛ"
01.35 ГОРДОН
02.25 "МУЗЫКА ИНЫХ СФЕР" триллер. США

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში